განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული ენა 9

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი



ISBN 978-9941-8-1234-5

ავთანდილ არაბული, დალი ბენაშვილი

ქართული ენა 9

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული ენა
IX კლასი, I ნაწილი
მოსწავლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორი:
ავთანდილ არაბული
თანაავტორი:
დალი ბენაშვილი

სამეცნიერო რეცენზენტი: გიორგი ალიბეგაშვილი
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: თეონა ლოდია
რედაქტორი: ნანა ქირია
ილუსტრატორი: ია გიგოლაშვილი
დამკაბადონებელი: ოთარ კიკილაშვილი
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

სახელმძღვანელო განკუთვნილია მეცხრე კლასის მოსწავლეებისათვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სახელმძღვანელოში გამოყენებულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული არქივის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის მიერ მოწოდებული და ციფრული ლიცენზირებული პლატფორმებიდან შეძენილი/მოპოვებული ფოტო-ილუსტრაციები. ასევე, ცალკეული ფოტო-ილუსტრაციები შექმნილია/დამუშავებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I და II ნაწილები;
მასწავლებლის წიგნი I და II ნაწილები.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8908-0

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები - დროშა, გერბი და ჰიმნი



ძალა ერთობაშია

თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია დმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეკელიძემ

სარჩევი

თავი 1. ძველი ქართული 7
1. როგორ მეტყველებდნენ ძველი ქართველები 9
2. წრფელობითი ბრუნვა და საკუთარი სახელების თავისებური ბრუნება ძველ ქართულში 17
3. ზმნის უღლების სირთულეები ძველ ქართულში 20
4. ძველ ქართულს მყოფადის მწკრივი არა აქვს! 24
5. ყველაზე რთული ცვლილებები I სერიის მწკრივთა წარმოებაში (-ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები) 27
6. ნაწილაკების როლი ძველ ქართულში 31
7. „ვეფხისტყაოსნის“ ქართული 35

თავი 2. სინტაქსი. შესიტყვება და წინადადება 41
1. ზმნის პირიანობა (გამეორება) 43
2. ზმნა და წინადადება 48
3. მარტივი წინადადება და წინადადების წევრები 53
4. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები 57
5. განსაზღვრება და მისი სახეები 62
6. გარემოებათა ნაირგვარობა 67
7. შესიტყვება 72
8. შესიტყვებათა სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა 77
9. მარტივი წინადადების ტიპები 82
10. შერწყმული წინადადება 87
11. წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით 95

ქართბოტი

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები



გავიხსენოთ:



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:



დავალება:



დაიმახსოვრეთ!



ეს საინტერესოა:



გავაანალიზოთ:



ეს გასათვალისწინებელია:



შევაჯამოთ ზემოთ თქმული:




დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ: /
უპასუხეთ (ვუპასუხოთ) კითხვებს:



შემოქმედებითი ბუნების
კომპლექსური დავალება

თავი 1
ძველი ქართული



ამ თავში გაეცნობით:

- როგორ ჟღერდა ძველი ქართველების მიერ წარმოთქმული სიტყვები;
- რა სახის განსხვავებები იჩენდა თავს საზოგადო და საკუთარი სახელების ბრუნების დროს;
- რა თავისებურებები ვლინდება ზმნის უღლების დროს და როგორ გამოხატავდნენ ძველი ქართველები მომავალი დროის მოქმედებას;
- რა როლს ასრულებდა ძველი ქართული წინადადების აგების დროს დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე ისეთი სიტყვები, როგორებიცაა ნაწილაკები;
- რა ადგილს იკავებს ქართული მწიგნობრობის უწყვეტი განვითარების ისტორიაში შოთა რუსთაველის გენიალური პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურებები.

ოთხთავის ასომთავრული ხელნაწერი,
X ს. კორნელი კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

„სად ღვაწებივი სოფელ დაეცის ჩვენ მამა-პაპათა:
მამულ—ი, ენა და სჯულ—მტკიცება, ან ამათად ძა ვეპატრონება,
ა კაცები ვიქნებია, ა ქალებ ვეცდება შეიძლებ—ება?“

ილ—ია

1. როგორ მეტყველებდნენ ძველი ქართველები

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავიგებთ, რა ცვლილებები განუცდია საუკუნეთა განმავლობაში ქართულ სალიტერატურო ენას;
- ვისწავლით, როგორ ამოვიცნოთ ჩვენთვის უცნობი სიტყვების რაობა ძველ ქართულ ტექსტებში;
- გავეცნობით ძველი ქართულის თავისებური ასობგერების ბუნებას.

გავაანალიზოთ:

ქართულ მწიგნობრობას, ქართულ სალიტერატურო ენას სხვა არაერთი ენისაგან გამოარჩევს ის, რომ იგი საუკუნეთა განმავლობაში მტკიცედ ინარჩუნებდა საკუთარ ენობრივ ბუნებას: სასულიერო მწერლობის უადრესი ნაწარმოები – „წმინდა ნინოს ცხოვრება“, სხვა ადრეული ძეგლები დღესაც იმავე ენაზე იკითხება და ისწავლება, რომელი ენითაც დაიწერა; ჩვიდმეტი საუკუნის წინანდელი ტექსტები ძირითადად კვლავაც გასაგებია თანამედროვე ქართველისათვის.



ამავე დროს, ენა 17 საუკუნის განმავლობაში, ცხადია, მუდმივად ვითარდებოდა და სხვადასხვა ცვლილებას განიცდიდა. ამ ცვლილებების გათვალისწინება კი აუცილებელია ძველი ტექსტების გასაგებად. ცვლილებები შეხებია როგორც ცალკეული ბგერების გამოთქმას, ისე გრამატიკულ ფორმებსა და სიტყვათა წყობას. ნიმუშად ავიღოთ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ერთი მონაკვეთი (რომელიც თავად წმინდანის მონათხრობით არის ჩვენამდე მოღწეული).

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი თანდართული მითითებების მიხედვით:

- ✓ ამ ტექსტიდან ცალკე ამოინიშნეთ მხოლოდ ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა საერთოდ არ გესმით;
- ✓ ის ფორმები კი, რომელთა მნიშვნელობას კონტექსტის მიხედვით ასე თუ ისე ხვდებით, თქვენი სიტყვებით განმარტეთ.

„ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუაოდა მათ ჟამთა. ვიხილე რაჲ მათი მისლვაჲ წინაშე უფლისა და დარჩომაჲ ჩემი ჭირთა შინა, ჴმითა ღაღად-ვყავ: „უფალო, უფალო, რად დამიტევებ მე?“ და მესმა ჴმაჲ, რომელი მეტყოდა: „ესრეთ იყოს წარყვანებაჲცა შენი, ოდეს-იგი ეკალი, რომელ შენსა გარემოს არს, ყოველივე იქმნას ვარდის ფურცელ და სურნელ შენ მიერ. ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავალით, სადა-იგი არს სამკალი ფრიად, ხოლო მუშაკნი - მცირედ“.

მაშინ შეძრწუნებული წარმოვედ და თუესა მეოთხესა წარმოვემართე მთათა ზედა ჯავახეთისათა, რაჲთა ვცნა, თუ სადაჲთ არს მცხეთაჲ, და მივემთხჳე მთასა ზედა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნაჲ, და დავდეგ მუნ ორ დღე. ვითხოვე საზრდელი მეთევზურთაგან და განვძლიერდი ძალითა მით საზრდელისაჲთა. და მწყემსნი იყვნეს მასვე ადგილსა. დილასა ადრე მივედ და ვჰკითხე ერთსა მათგანსა, თუ რომლისა სოფლისანი ხართ თქუენ? ხოლო მან მომიგო მე: „ვართ მკჳდრნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.

ახლა კი შეამოწმეთ, რამდენად სწორად გესმოდათ სიტყვების მნიშვნელობა:

ა) ტექსტში არის რამდენიმე სიტყვა, რომელთაც უთუოდ სჭირდება განმარტება: **ღაღად-ვყავ** - დავიძახე, შევძახე; **ფურცელი** - ფოთოლი; **მივემთხჳე** - მივადექი; **მუნ** - იქ.

ბ) ზოგი სიტყვის რაობას ალბათ მიმსგავსებით მიხვდებით; ეს ის სიტყვებია, რომელთაც დროთა განმავლობაში გარეგნულად იცვალეს იერსახე: **დავშთი** - დავრჩი; **დარჩომა** - დარჩენა; **დამიტევებ** - (და)მტოვებ; **ოდეს-იგი** - როდესაც; **საზრდელი** - საზრდო, საჭმელი;


გ) შეიძლება ზოგი ფორმის შინაარსი შებრუნებულად


გავიგოთ; მაგალითად: **აღმოსავალით** - არის არა „აღმოსავლეთიდან“, არამედ „აღმოსავლეთისკენ“; **სადაჲთ** - არის არა „საიდან“, არამედ „საითკენ“.

დ) უთუოდ შენიშნეთ ის სიტყვებიც, რომლებიც გეუცხოებათ იმის გამო, რომ მათში უცნობი ასობგერებია გამოყენებული: **ჴმაჲ** - ხმა; **მკჳდრნი** - მკვიდრნი...

ძველი ქართულის ფონეტიკა

უპირველესად სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევას, ანუ ძველი ქართულის ბგერით თავისებურებას შევეხოთ. დავაკვირდეთ ქართული ანბანის ისტორიულ სურათს:






ჯრუჭის ოთხთავი, ასომთავრული, 936 წ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



იოანე ოქროპირის ცხოვრება, ნუსხური, 968წ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



მარიამისეული ქართლის ცხოვრება, მხედრული, XVII ს. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

1. ასომთავრული
2. ნუსხური
3. მხედრული
4. რიცხვითი მნიშვნელობა

2016 წელს ქართულმა დამწერლობამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა: იუნესკომ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიყვანა ნომინაცია „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“.

ქართული დამწერლობა სამი სრულყოფილი ნაირსახეობით არის დოკუმენტურად დადასტურებული თითქმის 20 საუკუნის განმავლობაში; IX საუკუნემდე მხოლოდ ასომთავრული გამოიყენებოდა, IX საუკუნიდან ნუსხა-ხუცური იკავებს მნიშვნელოვან ადგილს, ხოლო X საუკუნიდან მხედრული ანბანიც შემოდის საერო შინაარსის ტექსტების საწერად. ანბანის ამ სახეობათა შედარებაც გვიჩვენებს, რომ ქართული ენის ბგერითი შედგენილობა დიდად არ შეცვლილა საუკუნეების განმავლობაში. XIX საუკუნის II ნახევარში მხოლოდ **ხუთი ასონიშანი** ამოიღეს ახალი ქართულის ანბანიდან, რადგანაც ისინი თანამედროვე მეტყველებას აღარ ასახავდა.




ქართული მოზაიკური წარწერა
პალესტინიდან, 430 წ.
იერუსალიმი, იუდეის უდაბნო.

რაც მთავარია, ამ ხუთი ასონიშნიდანაც ყველას ერთნაირი ბგერითი დანიშნულება არა აქვს; კერძოდ:

1. მხოლოდ სიმბოლური დანიშნულება ჰქონდა ანბანის ბოლო ჯ ასონიშანს, რომელსაც ჰოე-ს უწოდებდნენ; ის რაიმე ბგერას კი არ გამოხატავდა, არამედ მხოლოდ 10 000 რიცხვს აღნიშნავდა.

2. დანარჩენი ოთხი ასონიშნიდან მხოლოდ ორი ასახავს დამოუკიდებელ ბგერას – ჴ და ჲ:



ბოლნისის სიონი,
V საუკუნე (დაახლ. 493-494 წწ.),
სიმონ ჯანაშიას სახელობის
საქართველოს მუზეუმი.

ა) **ჴ** (ჴარი) – ხორხისმიერი (ყ-ს რიგის) ბგერა. ეს ბგერა დღემდე შემოუნახავთ საქართველოს მთის კუთხეებს. თუ გვინდა ამ დაკარგული ბგერის გამოთქმას მივბაძოთ, უნდა ვცადოთ ქ ბგერის წარმოთქმა იმ ადგილას, სადაც ყ-ს წარმოვთქვამთ. არაერთი სიტყვა, რომელიც ახალ ქართულში **ხანით** იწერება და იკითხება, ძველ ქართულში **ჴარის** შემცველი იყო: ჴმა, ჴბო, ჴარი, ჴრმალი, ფერჴი, მუჴლი... ამის გამო ზოგი დღევანდელი ომონიმური სიტყვა ძველ ქართულში ორი სიტყვა ყოფილა: **ჴელი** ადამიანის ზედა კიდურს აღნიშნავდა, ხოლო **ხელი** – შეშლილს.

ბ) **ჲ** (იოტა) მთლად ასეთი დამოუკიდებელი ბგერა არ არის. ის **ი** ხმოვნის დავიწროების შედეგად მიღებული ნახევარხმოვანია; წარმოიქმნებოდა ფუძეხმოვნიან სახელებზე ბრუნვის ნიშნის **-ი** ხმოვნის დართვის შედეგად: გზა-**ჲ**, ეზო-**ჲს**(ა), ეზო-**ჲთ**(ა)...

3. დარჩენილი ორი ასონიშანი – **ჭ** და **ჯ** გამოხატავდნენ დ ი ფ თ ო ნ გ ე ბ ს (ანუ სრული ხმოვნისა და ნახევარხმოვნის შეერთებით მიღებულ რთულ ბგერებს). როგორ მიიღებოდა ისინი:

ა) როდესაც ზემოდასახელებული **ჲ** (იოტა) **ე** ხმოვნის შემდეგ მოხვდებოდა, **ეჲ** კომპლექსის შერწყმა **ჭ** ასოთი აღინიშნებოდა: ძე-**ჲ** –> ძ**ჭ**, მათე-**ჲს** –> მათ**ჭ**ს და მისთ. ასევე – ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში: უდიდ**ჭ**ს-ი, უმაღლ**ჭ**ს-ი და მისთ.

ბ) **ჯ** (ვიე) წარმოიქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც **ი** ხმოვანი მოხვდებოდა **უ** ნახევარხმოვნის მომდევნოდ. მაგალითად, **დათუ**, **ნაძუ**, **ეშუ** ფუძეების ბოლო ბგერა **უ** ხმოვანი კი არ იყო, არამედ ნახევარხმოვანი (იხილეთ ცოტა ქვემოთ). სწორედ ამგვარ ნახევარხმოვანთან წარმოქმნიდა **ი** ხმოვანი **ჯ** დიფთონგს: ნაძ**უ-ი** –> ნაძ**ჯ**, ძ**უი**რი –> ძ**ჯ**რი, თქ**უი**ს –> თქ**ჯ**ს და სხვ.





დავათის სტელა და მისი ფრაგმენტი ასომთავრული ანბანით, სავარაუდოდ, IV საუკუნე (დაახლოებით 367 წ.), სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

დაიმახსოვრეთ!

დღეს ამ ასონიშნებს გამოვთქვამთ (ამოვიკითხავთ) როგორც ორ დამოუკიდებელ ბგერას: **ჭ**-ს გამოვთქვამთ როგორც **ეი** და **ჯ**-ს – როგორც **ვი** კომპლექსს.

ეს გასათვალისწინებელია:

ძველ ქართულში **უ** ხმოვანი და **უ** ნახევარხმოვანი (განსხვავებით **ი** ხმოვნისა და **ჲ** ნახევარხმოვნისაგან) ერთი ასონიშნით გამოიხატებოდა და ძველი ტექსტების ბეჭდვისას ის დღესაც ასე გადმოიცემა: **უ** ხმოვანია **გული** სიტყვაში, ხოლო **გუელი** სიტყვაში – ნახევარხმოვანი, **სძულს** ფორმაში – ხმოვანია, ხოლო **ძუალი** სიტყვაში – ნახევარხმოვანი და მისთ.

როგორ ამოვიკითხოთ სწორად, როდესაც ძველ ქართულ ტექსტში (სიტყვაში) შეგვხვდება უ ასონიშანი?

ამისათვის უნდა შევამოწმოთ შესაბამისი სიტყვის თანამედროვე ჟღერადობა: თუ **უ** დღესაც ხმოვნად გამოითქმის, ძველშიც ის ხმოვანი ყოფილა, ხოლო თუ დღეს ასეთი ფუძე **ვ** თანხმოვანს მოითხოვს, ე.ი. ძველ ქართულშიც ნახევარხმოვნად გამოითქმოდა (ს**ძუ**ლს, მაგრამ **ძვ**ალი).

ეს საინტერესოა:

მოგვიანებით აღნიშნულ უხერხულობას იმით აუარეს გვერდი, რომ **უ** ნახევარხმოვანს **უ**-ბრჯგუ უწოდეს და ხმოვნისაგან გასარჩევად თავზე „ქუდი“ დაასვეს: **ŭ** (გული, მაგრამ – **გŭელი**).

დავალება 1:

ამოიწერეთ „შუშანიკის წამების“ ტექსტიდან უ ხმოვნისა და უ ნახევარხმოვნის შემცველი მაგალითები შემდეგი სქემის გამოყენებით:

ნიმუში

უ ხმოვანი	**უ ნახევარხმოვანი**
ასული	სიყუარულით

დავალება 2:

დააკვირდით და ჩასვით შესაფერის ადგილას დიფთონგის ნიშნები: ჱ თუ ჳ.

ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძური დაეფინა და თუით ფერჳნი დაიდგნის ძეძურსა ზედა. სიმტკიცეჲ ღმრთისაჲ და კეთილი მაცნეჲ საღმრთოჲსა საიდუმლოჲსა მოიჳსენე დღეჲ იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი... ექუს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმეჲ შენი, ხოლო დღეჲ იგი მეშუიდეჲ, შაბათი... დედაკაცი რომელსა ემოსა მზეჲ და მთვარეჲ იყო ქუეშე ფერჳთა მისთა და თავსა მისსა გუირგუინი ვარსკულავთაჲ. და იყო იგი მოწრაფეჲ კითხვასა წიგნთა სულიერთასა და ასუმიდა სულსა თუისსა წყალთა მათგან სულისა წმიდისა განმაცხოველებელისათა... და თქუმულისაებრ წინასწარმეტყუელისა იყო იგი, ვითარცა ხეჲ დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ხილი თუისი ჟამსა თუისსა... დაღათუ არნ იგი და დამაშჳრალ და საჴმარ რაჲმე არნ მსახურებაჲ არავე დაეყენის მისგან და ჟამსა ლოცვისასა უწინარეჲს ყოვლისა შევიდის ეკლესიად. და ესრეჲთ აღესრულებოდა მას ზედა ნეშტი იგი სიტყუისაჲ მის, რომელმან გამოსცეს ხილი მისი ჟამსა თუისსა. და რასა უკუე იტყოდა, არამედ ამას: დიდმე არსა ჩუენდა, რომელთა ესე დაგუიმკუიდრებიეს ბუნებრივი სიმდაბლეჲ მიწისა ჩუენისა...

ეს საინტერესოა:

იაკობ ცურტაველის ხელნაწერს რომ ჩვენამდე მოეღწია:

„შუშანიკის წამება“ მე-5 საუკუნის ნაწარმოებია, მაგრამ მისი უადრესი ხელნაწერი მხოლოდ მე-10 საუკუნიდან არის შემორჩენილი. საინტერესოა, როგორი იქნებოდა ეს ტექსტი, თვით იაკობ ხუცესის ხელით დაწერილი რომ გვეხილა?

უძველესი ხელნაწერების შესწავლამ გაარკვია, რომ იმდროინდელი ძველი ქართული ერთი რამით განსხვავდებოდა მე-7 საუკუნის შემდგომი ქართულისაგან; კერძოდ, იაკობ ხუცესის ნაწერი **ხანმეტი** უნდა ყოფილიყო, ანუ ისეთივე, როგორიც არის პალესტინის უდაბნოს მონასტრის, ბოლნისის სიონისა და სხვა უადრესი წარწერები.



პალიმფსესტი: ქვედა ფენა - ასომთავრული ხანმეტი სახარება იერუსალიმური რედაქციით, V-VI სს. ზედა ფენა ნუსხურით - მათეს სახარების განმარტება, ნუსხური, XI ს. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ხანმეტობა გულისხმობს იმას, რომ ყველგან, სადაც მე-2 სუბიექტური და მე-3 ობიექტური პირების ნიშნად შემდგომ გამოიყენებოდა **ჰ**- და **ს**- თავსართები (ზოგან კი ესენიც დაკარგულია), უძველეს პერიოდში დასტურდება მხოლოდ **ხ**- თავსართი:

მე-2 სუბ. პირი: (შენ) **ხ**-ზი, **ხ**-წერ, **ხ**-იქმ, **ხ**-აგზნებ...

მე-3 ობ. პირი: (იგი მას) **ხ**-წერ-ს, (მან მას) **ხ**-რქუ-ა...

აგრეთვე ერთპირიან ვნებითებში – უფუნქციოდ: **ხ**-იქმნა, **ხ**-იყო...

ასევე ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებში: **ხ**-უფროჲს-ი (უფრო მეტი, უფროსი); **ხ**-უდიდეჲს-ი (უდიდესი); **ხ**-უმაღლეჲს-ი (უმაღლესი)...

ამის გათვალისწინებით შეგვიძლია „შუშანიკის წამების“ პირვანდელი ტექსტი აღვადგინოთ:

და ხიჯმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან. და, ვითარცა მოხიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაჲთა ხაუწყოს და წინამოხეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს. და წარმოხმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი, ვითარ[მ]ცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ხრქჳან ცურტავ.



დავალება 3:

1. რომელია წინამავალ ტექსტში ხანმეტი ფორმები და რომელ პირს შეესაბამება მათში **ხ-** თავსართი, სუბიექტურს თუ ობიექტურს?
2. აღადგინეთ ხანმეტი ფორმები „შუშანიკის წამების“ შემდეგ ფრაგმენტში:

და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჳოჳიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაჲთამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს ჳოჳიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაეცლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოჲ არარაჲსაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჳოჳიკისმან მიართუა ღჳნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და განყარა ჴელი და ჭიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღჳნოჲ იგი დაითხია.



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

„შუშანიკის წამების“ ავტორი იაკობ **ხუცესად** მოიხსენიება. **ხუცესი** იაკობის ეპოქაში „მღვდელს“ აღნიშნავს და ის ქრისტიანობამდელი საზოგადოებიდან უნდა მომდინარეობდეს. რაც მთავრია, თავად ეს სიტყვა ყოფილა ხარისხის უძველესი ხანმეტი ფორმა (**ხ-უცეჲს-ი**) და თავიდან მას ისეთივე შინაარსი უნდა ჰქონოდა, როგორიც არის შემდეგდროინდელი ხარისხის ფორმა **უხუცესი.**

2. წრფელობითი ბრუნვა და საკუთარი სახელების თავისებური ბრუნება ძველ ქართულში

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიაზრებთ: რა თავისებურებები ახასიათებდა სახელთა ბრუნებას ძველ ქართულში;**
- **რა არის წრფელობითი ბრუნვა და რა ფუნქციას ასრულებდა ეს ბრუნვა ძველ ქართულში;**
- **რა განაპირობებდა საკუთარი სახელების თავისებურ ბრუნებას ძველ ქართულში;**
- **რა არის მსაზღვრელი ნაწევარი და რა გავლენა იქონია მან ბრუნვათა სისტემის ჩამოყალიბებაზე.**

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

ყურადღებით წაიკითხეთ მცირე მონაკვეთი იაკობ ხუცესის თხზულებიდან „შუშანიკის წამება“:

„და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, კითხვაჲ ჰრქუა, ხოლო სანატრელმან შუშანიკ, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელმან, ჰრქუა: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ!“. ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა. ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხჳდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართალი და ჰრქუა, ვითარმედ: „ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი“.

თქვენთვის ნაცნობი ამ ტექსტის მცირე მონაკვეთში სახელების ბრუნების რამდენიმე თავისებურება ჩანს.



1. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის, რომ ფუძის სახით გვხვდება რამდენიმე სახელი, რომელთაც დღეს სახელობითი ბრუნვის ფორმით გამოვიყენებდით: **ცხოველ**, **ცოცხალ**, **მომკუდარ**.

ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი (ამოსავალი) ბრუნვის როლი, რასაც თანამედროვე ქართულში სახელობითი ასრულებს, ძველ ქართულში სახელის სუფთა ფუძეს ეკისრებოდა (**სახლ**, **ზუარაკ**, **სძე**, **ყრმა**...); ამ ფორმას ეკავა პირველი ადგილი ბრუნვათა რიგში და მას ეწოდება წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვა.

2. მოყვანილ ნაწყვეტში მეორე თავისებურება ის ჩანს, რომ გმირთა საკუთარი სახელები ორივე შემთხვევაში წრფელობითის ფორმით დასტურდება:

ა) „**ვარსქენ** უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი“.

ბ) „ხოლო სანატრელმან **შუშანიკ**, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელმან, ჰრქუა“.

არადა, მოთხრობითი ბრუნვა იყო მოსალოდნელი. უთუოდ შეამჩნევდით, რომ **შუშანიკ** ფორმის გვერდით მისი მსაზღვრელი სწორედ ძველი მოთხრობითის ფორმით გვაქვს (**სანატრელ-მან**),

ახლა შევადაროთ საზოგადო და საკუთარი სახელების ბრუნება ძველ ქართულში:

ბრუნვა	საზოგადო სახელი	საკუთარი სახელი
წრფელობითი	სახლ	იაკობ
სახელობითი	სახლ-ი	იაკობ
მოთხრობითი	სახლ-მან	იაკობ
მიცემითი	სახლ-ს(ა)	იაკობ-ს
ნათესაობითი	სახლ-ის(ა)	იაკობ-ის(ი)
მოქმედებითი	სახლ-ით(ა)	იაკობ-ით(გან)
ვითარებითი	სახლ-ად	იაკობ-ად(მდე)
წოდებითი	სახლ-ო	იაკობ

როგორც ხედავთ:

ა) საკუთარი სახელი ოთხ ბრუნვაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი;

ბ) საკუთარ სახელს არა აქვს სავრცობი (**ა**);

გ) მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები შეიძლება მხოლოდ თანდებულიანი ფორმით დადასტურდეს.


ეს სხვაობა ასევე კარგად ჩანს საკუთარი სახელის ბრუნებისას მსაზღვრელთან ერთად:

ბრუნვა	საკუთარ სახელი მსაზღვრელთან ერთად
წრფელობითი	სანატრელ შუშანიკ
სახელობითი	სანატრელ-ი შუშანიკ
მოთხრობითი	სანატრელ-მან შუშანიკ
მიცემითი	სანატრელ-სა შუშანიკ-ს
ნათესაობითი	სანატრელ-ისა შუშანიკ-ის(ი)
მოქმედებითი	სანატრელ-ითა შუშანიკ-ით(ურთ)
ვითარებითი	სანატრელ-ად შუშანიკ-ად(მდე)
წოდებითი	სანატრელ-ო შუშანიკ

რა არის მიზეზი იმისა, რომ საკუთარი სახელი ბრუნების საერთო წესს არ ემორჩილება?

ამ საიდუმლოს გასაღებს გვთავაზობს მოყვანილი ფრაგმენტის კიდევ ერთი მაგალითი: „ხოლო **კაც-მან მან** ვერ იკადრა სიტყუად მისა“, რომელშიც ბრუნვის ნიშანი **-მან** სრულად ემთხვევა ჩვენებითი ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმას (**მან**).

ძველ ქართულში საზოგადო სახელს მსაზღვრელად ხშირად ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი (**ესე**, **ამან**, **ამას**... **ეგე**, **მაგან**, **მაგას**... **იგი**, **მან**, **მას**...), რომელსაც **მსაზღვრელი ნაწევარი** ჰქვია. მისი დანიშნულებაა განსაზღვრულობა მიანიჭოს არსებით სახელს.



პარხლის მრავალთავი, ნუსხური, X ს. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

თუ ძველი ქართველი იტყოდა „კაცი **ერთი**“ ან „კაცი **ვინმე**“, იგი ამით ამბობდა, რომ ეს „კაცი“ განუსაზღვრელი, გაურკვეველი იყო; ხოლო როცა იტყოდა „კაცი **იგი**, კაცმან **მან**...“, ამით სახელის განსაზღვრულობას აღნიშნავდა.

წარმომავლობით სწორედ ნაწევარს უკავშირდება სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები (შდრ.: კაც-**მან მან**), აგრეთვე სავრცობი (**-ა**), რომელიც მიცემითს, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებს დაერთვის.

საკუთარი სახელი კი თავისთავად არის განსაზღვრული, ამიტომაც მას ნაწევრის დართვა არ სჭირდება; შესაბამისად, არც სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ფორმები აქვს და არც სავრცობი დაერთვის.

დავალება 1:

აბრუნეთ საკუთარი სახელები დამოუკიდებლად და მსაზღვრელთან ერთად: გრიგოლ, დავით, ხუცესი იაკობ, ვარსქენ პიტიახში.

დავალება 2:

ამოკრიბეთ „შუშანიკის წამების“ ტექსტიდან საკუთარი სახელები და განსაზღვრეთ თითოეულის ბრუნვის რაობა.

3. ზმნის უღლების სირთულეები ძველ ქართულში

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიაზრებთ, რა თავისებურებები ახასიათებდა ზმნის უღლებას ძველ ქართულში და რა ცვლილებები განუცდია მწკრივთა წარმოებას ისტორიულად;**
- **ვისწავლით ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ზმნური ფორმების სწორად ამოკითხვას (გაგებას);**

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

გავითავისოთ ძველი ქართულის მწკრივების წარმოების ზოგი სირთულე:

ძველი ქართული ტექსტების გაგებას ყველაზე მეტად აძნელებს ზმნის მწკრივების წარმოების თავისებურებები; კერძოდ, ძველ ქართულს რამდენიმე ისეთი მწკრივი აქვს, რომლებიც დღეს აღარ დასტურდება და ცალკეული მწკრივის ფორმებიც დიდად განსხვავდება ახლანდელისაგან. შევჩერდეთ რამდენიმე საკითხზე:

1. „აბო თბილელის წამებაში“ წერია:

„არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჴჯმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა.“



რას ნიშნავს ფორმები: **აღანთის**, **შედგის**, **გადგიან**?

თუკი თანამედროვე ქართულში მოქმედების ხშირი გამეორების გამოხატვა გვინდა, ვიყენებთ „**ხოლმე**“ ნაწილაკს. ძველ ქართულში კი ეს ნაწილაკი არ არსებობდა და მრავალგზის გამეორებული მოქმედება ზმნის ფორმებით გამოიხატებოდა. მაშინ ენას ასეთი შინაარსის რამდენიმე მწკრივი ჰქონდა:

ა) **აწმყოს ხოლმეობითი:** ამ მწკრივს მხოლოდ მე-3 პირის ფორმები ჰქონია მხოლობითსა და მრავლობითში. ეს ფორმები მხოლოდ პირის ნიშნებით განსხვავდებოდა აწმყოსაგან;

შეადარეთ:

აწმყო		აწმყოს ხოლმეობითი	
მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**	**მხოლობითი რიცხვი**	**მრავლობითი რიცხვი**
არ-**ს** [იგი] წერ-**ს** [იგი]	არი-**ან** [იგინი] წერ-**ენ** [იგინი]	არ-**ნ** [იგი] წერ-**ნ** [იგი]	არი-**ედ** [იგინი] წერ-**ედ** [იგინი]

შინაარსით **წერ-ნ**, **წერ-ედ** ფორმები გამოხატავდა მრავალგზის მოქმედებას: „წერდა ხოლმე“ და მისთ. მაგ.: „რომელი გარდამრე საქმ**ჱ** **არნ**, მას აუწყიან“ (ხანძთ.).

ბ) **პირველი ხოლმეობითი:** ამ მწკრივის წარმოებას შევძლებთ, თუ უწყვეტლის მწკრივის ყველა პირის ფორმას მწკრივის ნიშნად დავუსვამთ **-ი** სუფიქსს.

შეადარეთ:

პირი	უწყვეტელი		პირველი ხოლმეობითი	
	მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**	**მხოლობითი რიცხვი**	**მრავლობითი რიცხვი**
1	ვ-წერდ(ი)	ვ-წერდ-ი-თ	ვ-წერდ-**ი**	ვ-წერდ-**ი**-თ
2	ს-წერდ(ი)	ს-წერდ-ი-თ	ს-წერდ-**ი**	ს-წერდ-**ი**-თ
3	წერდ-ა	წერდ-ეს	წერდ-**ი**-ს	წერდ-**ი**-ან

წერდის ფორმის შინაარსს დღეს ასევე „**ხოლმე**“ ნაწილაკის დამატებით გადმოვცემთ: „წერდა ხოლმე“.

გ) **მეორე ხოლმეობითი**: ამ მწკრივს მივიღებთ, თუ წყვეტილის მწკრივის ფორმებს მწკრივის ნიშნად იმავე **-ი** სუფიქსს დავუსვამთ.

შეადარეთ:

პირი	წყვეტილი		მეორე ხოლმეობითი	
	მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**	**მხოლობითი რიცხვი**	**მრავლობითი რიცხვი**
1	და-ვ-წერ-ე	და-ვ-წერ-ე-თ	და-ვ-წერ-**ი**	და-ვ-წერ-**ი**-თ
2	და-ს-წერ-ე	და-ს-წერ-ე-თ	და-ს-წერ-**ი**	და-ს-წერ-**ი**-თ
3	და-წერ-ა	და- წერ-ეს	და- წერ-**ი**-ს	და-წერ-**ი**-ან

მოძებნეთ ამ მაგალითში ანალოგიური ფორმები და განმარტეთ: „რაჟამს იტყჳნ, ბრძნად აღაღის პირი თჳსი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა“ (ხანძთ.).

დავალება 1:

იპოვეთ და ამოწერეთ მოცემული ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ხოლმეობითების მაგალითები:

ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღუსებისათა ერგასისთა მათ დღეთა ექუსთა წელთა შინა, არცა დღისი, არცა ღამე არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რაჲ მიიღის, გარნა დღესა ხოლო კჳრიაკესა ეზიარა ჴორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა. და მცირედ ოდენ წუენაკი მხლისა შექმნული, იგიცა მცირედ, მიიღის, ხოლო პურისა გემო არა იხილის ვიდრე აღუსებადმდე.

და მიერ დღითგან, ვინაჲთგან პყრობილ-ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა ალიზაკი ერთი დაიდვის სასთუნალ. და ქუესაგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი. და კაცთა თუალსა სასთაულაკი ერთი ხალენისაჲ უცნ სასთუნლით კერძო. და თაყუანის-საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდებიედ. და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას დასხმულ იყო.

ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თჳსითა. და რომელნიმე მათგანნი აშინებედ მას და ეტყჳედ...

და მრავალთაგან სჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ. და დღე ყოველ იმარხავნ...

თუ ვინმე თავი მოიკლის ქრისტჱსა მათისათჳს, მოიპარიან გუამი მისი და პატივ-სციან მას დაფლვითა, ტყუვილითა რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განსთქუმედ ერსა შორის, და სამოსელსა და თმასა თავისა მისისასა და ძუალსა მისსა განიყოფედ, რეცა საცოდ სნეულთათჳს, და ამით სახითა მრავალნი უცებნი შეიტყუვნიან.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

2. თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით, ძველ ქართულს ბრძანებითი კილოს გამომხატველი ორი მწკრივიც ჰქონდა: **I ბრძანებითი** და **II ბრძანებითი**. ეს მწკრივები მხოლოდ მე-2 და მე-3 პირის ფორმებით გვხვდება. განსაკუთრებულ სირთულეს კი მე-3 პირის ფორმები ქმნის. გავიაზროთ ისინი ცალ-ცალკე:

ა) **I ბრძანებითი**: ამ მწკრივის წარმოება უწყვეტელს ემყარება და მისი მე-2 პირის ფორმა უწყვეტლის მე-2 პირს ემთხვევა; მე-3 პირი კი იმ არქაულ პირის ნიშნებს (**-ნ**, **-ედ**) დაირთავს, რომლებიც აწმყოს ხოლმეობითში ვიხილეთ:

1. ----------
2. (შენ) ადიდებდ(ი)! (თქვენ) ადიდებდი-თ!
3. (იგი) ადიდებდი-**ნ**! (იგინი) ადიდებდ-**ედ**!

მე-3 პირის მნიშვნელობა ასეთია: „(დაე) ადიდებდეს, ადიდებდნენ“! მაგ.: „ეგრე **ბრწყინევდინ** ნათელი თქუენი წინაშე კაცთა!“ (აბო)

ბ) **II ბრძანებითი**: ეს მწკრივი წყვეტილს ემყარება და მისი მე-2 პირი წყვეტილის ამავე პირს ემთხვევა, მე-3 პირი კი ზემომითითებულ პირის ნიშნებს დაირთავს:

1. ----------
2. (შენ) ადიდე! (თქვენ) ადიდე-თ!
3. (მან) ადიდე-**ნ**! (მათ) ადიდ-**ედ**!

მე-3 პირის მნიშვნელობა: „(დაე) ადიდოს, ადიდონ“! მაგ.: „შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისაჲ, უკუეთუ არა, **მოკუედინ** იგი!“ (აბო)



დავალება 2:

ამოწერეთ მოცემული მაგალითებიდან და გაარჩიეთ, რომელია 1-ლი და რომელი მე-2 ბრძანებითის ფორმები, პირების გათვალისწინებით:

1. წარვედ ქუეყანად ჩრდილოეთისა და უქადაგე სახარებაჲ ძისა ჩემისაჲ.
2. ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავალით!
3. უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, აჩუენე ძლიერებაჲ შენი და ყავ სასწაული!
4. ღმერთო ნინოჲსო, განმინათლე სიბნელე ესე და გამომიბრწყინვე მე ნეთელი!
5. - მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ!
6. უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი!
7. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რაჲცა რაჲ არს.
8. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებაჲ შენი, უფალო, და მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა.
9. - ღმერთმან მოგიტევენინ, რომელ-რაჲ-იგი ჰყავთ.
10. ლოცვით წარმგზავნეთ და მშჳდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ!
11. შვილნო, დრო მეცით მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადღედმდე!
12. შემიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განწირული ესე მკლველი შენი და მიემსგავსე ქრისტესა, მკლველთა თჳსთა შემნდობელსა.
13. საწყალობელო, ყავ ბრძანებული მისი, რომელმან მოგავლინა შენ.
14. ევედრენით ზადენს და არმაზს, რაჲთა განმინათლოს მე.
15. შვილნო, რომელი მცნებაჲ პირველითგან გესმა ჩემგან სულისა თქუენისა საცხორებლად, დაიმარხეთ და ჰყოფდით მარადის საჴსენებელსა ჩემსა.

4. ძველ ქართულს მყოფადის მწკრივი არა აქვს!

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიაზრებთ: რას ნიშნავს მყოფადის მწკრივის არარსებობა ძველ ქართულში;**
- **გავითვალისწინებთ: რა შესაძლებლობებს იყენებს ძველი ქართული მყოფადის არქონის საკომპენსაციოდ;**
- **შევძლებთ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ზმნური ფორმების სწორად გაგებასა და გამოყენებას.**



ეს გასათვალისწინებელია:

ეს განსაკუთრებული გაფრთხილებაა, რადგან ძველი ქართული ტექსტების არასწორი გაგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ვნახოთ მაგალითი:

მეცნიერებაჲ **განალაღებს**, ხოლო სიყუარული **აღაშენებს** (კორინთ.). ხოლო აწ ქრისტე **აღაშენებს** ორთა მათ მონასტერთა ფრიად კეთილთა ქართლს შინა თეოდორეჲს და ქრისტეფორეჲს მიერ (მერჩული).

სრულიად მოსალოდნელია, რომ პირველი ბიბლიური ფრაზა და მეორე - გრიგოლ ხანძთელისეული სიტყვები თანამედროვე ქართველმა გააშინაარსოს მომავალი დროის ფორმებით: „გ ა ა ლ ა ღ ე ბ ს“, „ა ა შ ე ნ ე ბ ს“.

მაგრამ ამგვარი გაგება ძველი ქართული ტექსტის აზრის უხეში დამახინჯება იქნებოდა, რადგანაც ძველ ქართულში ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები (**აღ-აშენებს**...) მყოფადი არ არის; ისინი იმავე შინაარს გამოხატავენ, რასაც აწმყოს უზმნისწინო ფორმები: „ა ლ ა ღ ე ბ ს“, „ა შ ე ნ ე ბ ს“.

უფრო დაზუსტებით:

თანამედროვე ქართულში აწმყოს („რას შვრება?“) ფორმაზე ზმნისწინის დართვით ვაწარმოებთ მყოფადის („რას იზამს?“) ფორმას, მაგ.:

აწმყო	მყოფადი
ვ-აშენებ	ა-ვ-აშენებ
ვ-ტეხ	გა-ვ-ტეხ
ვ-ხატავ	და-ვ-ხატავ

ძველ ქართულში კი ასეთი წარმოება შეუძლებელია, რადგანაც უზმნისწინო და ზმნისწინიანი აწმყო (აშენებ-ს – **აღ**-აშენებ-ს, წერ-ს – **და**-წერ-ს, ვალ-ს – **მო**-ვალ-ს და მისთ.) დროის თვალსაზრისით ერთი და იგივეა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

ასევე აწმყოს შინაარსს გადმოსცემს ზმნისწინის არმქონე ზოგი ფორმა, რომელიც დღეს მყოფადს გამოხტავს; მაგ.: **იტყჳ**-ს („ამბობს“), **ეტყჳ**-ს („ეუბნება“)...

რაჲ არს ესე, რომელსა **მეტყჳს** ჩუენ?



დავალება 1:

ამ ინფორმაციის შემდეგ შეგიძლიათ დაუბრუნდეთ თქვენს გავლილ ტექსტს და შეამოწმოთ, სწორად გესმოდათ თუ არა ზმნისწინიანი ფორმები.

აქ ბუნებრივად უნდა გაგიჩნდეთ კითხვა:

– თუ ძველ ქართულს მყოფადის მწკრივი არ ჰქონდა, მაშინ რით გამოხატავდა მომავალი დროის მოქმედებას?

– თურმე ამისათვის აქტიურად იყენებდა 1-ლი და მე-2 კავშირებითის ფორმებს.



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

რამეთუ ჰსთქუ: უკუნისამდე წყალობაჲ აღეშენოს, და ცათა შინა განემზადოს ჭეშმარიტებაჲ შენი. ვყავ აღთქუმაჲ რჩეულთა ჩემთა თანა და ვეფუცე დავითს, მონასა ჩემსა; უკუნისამდე განვჰმზადო ნათესავი შენი და აღვაშენო თესლითი თესლადმდე საყდარი შენი. აღიარებდენ ცანი საკჳრველებათა შენთა, უფალო, და ჭეშმარიტებასა შენსა ეკლესიასა შინა წმიდათასა. რამეთუ ვინ ღრუბელთა შინა ესწოროს უფალსა და ემსგავსოს უფალსა ძეთა შორის ღმრთისათა? (დავითნი, 88)

უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ამ ფრაზებში გამოყენებული კავშირებითის ფორმები (**აღეშენოს**, **განემზადოს**, **განვჰმზადო**, **აღვაშენო**, **აღიარებდენ**, **ესწოროს**, **ემსგავსოს**) გამოხატავენ მყოფადის (მომავლის დროის) შინაარსს: „აშენდება“, „გამზადდება“, „აღიარებენ“, „მიემსგავსება“ და მისთ.



დავალება 2:

ამ სავარჯიშო წინადადებებში შერეულად არის მოცემული თხრობითი კილოს ზმნისწინიანი და კავშირებითი კილოს ფორმები. განვლილი მასალის საფუძველზე გაარჩიეთ, რა შემთხვევაში გამოხატავს ზმნური ფორმა მყოფადს („რას იზამს?“), რა შემთხვევაში – აწმყოს („რას შვრება?“):

1. ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა. 2. ვითარცა-იგი მამაჲ აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს. 3. აწ უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკჳდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა. 4. ანუ ვითარ ეტყჳ ძმასა შენსა: მაცადე და აღმოგიღო წუელი იგი თუალით შენით? 5. ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს. 6. წარგიყვანო შენ სხუად ქუეყანად და განგამრავლო და აღგაორძინო შენ დიდად. 7. რომელნი განიმართლებთ თავთა თჳსთა წინაშე კაცთა. 8. ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხჳო და ბოროტსა ამას განვერე. 9. აჰა ესერა განცხადებულად იტყჳს და არარას ეტყჳან მას. 10 შვილნი შენნი შორის შენსა დაეცნენ და არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა. 11. ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენენ, კეთროვანნი განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების. 12. რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა... 13. და ეკიცხევდენ მას და ჰნერწყუვიდენ და სტანჯვიდენ და მოკლან იგი და მესამესა დღესა აღდგეს. 14. და ჰპოო შენ მადლი წინაშე ღმრთისა, და მე ვიყო მფარველი და ჴელისამპყრობელი შენი. 15. ესე იყოს მცველი შენი, და ამით სძლო ყოველთა წინააღმდგომთა შენთა, და წარემართოს ქადაგებაჲ შენი, და მე ვიყო შენ თანა და არა დაგიტეო შენ. 16. - შემო-რაჲ-ვიქცე, შური ვიძიო მათგან შეურაცხებისათჳს ღმერთთა ჩემთაჲსა. 17. ეუწყა სულისაგან, ვითარმედ დაუტეობს სოფელსა ამას და მივალს უფლისა. 18. რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა შჯულსა, ვითარცა-ესე მე. 19. - მწარე გონებაჲ აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ. 20. უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ. 21. ხოლო უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაჲ ჩემი მისგან. 22. მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, ჰე, ღა-მე-თუ განიკურნო. 23. - მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს. 24. უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, აღვაშენო სადიდებელად ღმრთისა და საცხორებელად სულისა შენისა. 25. და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი.

დავალება 3:

წაიკითხეთ ამგვარი კრიტიკული თვალით თქვენი სამუშაო ტექსტი და შეუხამეთ მას ცოდნა, რომელიც მოცემული პარაგრაფის ამ ორ მონაკვეთში მიიღეთ.

5. ყველაზე რთული ცვლილებები I სერიის მწკრივთა წარმოებაში (-ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები)

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავიაზრებთ: რა სირთულეები ახლავს -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების უღლებას I სერიის მწკრივებში;
- გავითვალისწინებთ: როგორ არის აღნიშნული სუფიქსის ცვლილებით დაკავშირებული ერთმანეთთან აწმყოს, უწყვეტლისა და I სერიის სხვა მწკრივთა ფორმები;
- შევძლებთ პირველ სერიაში -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების თავისებურ ფორმათა სათანადო მწკრივებთან დაკავშირებასა და მართებულ გაგებას.

„შუშანიკის წამების“ ტექსტში უთუოდ გეუცნაურებათ ხაზგასმული ზმნური ფორმები, რომელთა გრამატიკული შინაარსის სწორად გაგებას გარკვეული ცოდნა სჭირდება:



„მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერჴითა თჳსითა **დასთრგუნვიდა** მას“.

„ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ, ყოველთა, ვითარცა შვილთა, **გუხედევდ**“.

ამ თავისებურების ახსნას ენის ისტორია გვთავაზობს:

ძველიდან მოკიდებული ქართული ენის ისტორიაში მკვიდრად არსებობს ზმნების ერთი პატარა ჯგუფი, რომელსაც სხვათაგან აწმყოში **-ავ** და **-ამ** სუფიქსები გამოარჩევს. ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია, მაგრამ, სამაგიეროდ, ხშირი გამოყენების ზმნებს მოიცავს. ამ ზმნების ნაწილს თქვენ თანამედროვე ქართულის გრამატიკიდანაც იცნობთ:

-ავ: კერ-ავ-ს, მალ-ავ-ს, მარხ-ავ-ს, ფუც-ავ-ს, წირ-ავ-ს, ხატ-ავ-ს, კლ-ავ-ს, ფლ-ავ-ს, ჴნ-ავ-ს...

-ამ: დგ-ამ-ს, აბ-ამ-ს, მიართუ-ამ-ს, სუ-ამ-ს, იცუ-ამ-ს, განასხ-ამ-ს...

ამ ორი სუფიქსის მქონე ზმნები ურთიერთანალოგიურად იუღლება აწმყოში:

პირი	-ავ სუფიქსიანი		-ამ სუფიქსიანი	
	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	ვ-წირ-**ავ**	ვ-წირ-**ავ**-თ	ვ-დგ-**ამ**	ვ-დგ-**ამ**-თ
2	ს-წირ-**ავ**	ს-წირ-**ავ**-თ	ს-დგ-**ამ**	ს-დგ-**ამ**-თ
3	წირ-**ავ**-ს	წირ-**ვ**-ენ	დგ-**ამ**-ს	დგ-**მ**-ენ

შემდეგ კი **-ავ** და **-ამ** სუფიქსები ასევე ზუსტად ერთნაირ მკვეთრ ცვლილებას განიცდის უწყვეტელში:

პირი	-ავ სუფიქსიანი		-ამ სუფიქსიანი	
	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	ვ-წირ-**ევ**-დ(ი)	ვ-წირ-**ევ**-დ-ი-თ	ვ-დგ-**ემ**-დ(ი)	ვ-დგ-**ემ**-დ-ი-თ
2	ს-წირ-**ევ**-დ(ი)	ს-წირ-**ევ**-დ-ი-თ	ს-დგ-**ემ**-დ(ი)	ს-დგ-**ემ**-დ-ი-თ
3	წირ-**ვი**-დ-ა	წირ-**ვი**-დ-ეს	დგ-**მი**-დ-ა	დგ-**მი**-დ-ეს

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ, როგორ გარდაიქმნა **-ავ** სუფიქსი უწყვეტელში ჯერ **-ევ**, შემდეგ კი (მე-3 პირში) **-ივ** ნაირსახეობად. უნდა გაითვალისწინოთ, რომ უწყვეტლის მომდევნო ორ მწკრივში მთლიანად **-ივ** სუფიქსი არის გაბატონებული:

პირი	1-ლი კავშირებითი		1-ლი კავშირებითი	
	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	ვ-წირ-**ვი**-დ-ე	ვ-წირ-**ვი**-დ-ე-თ	ვ-დგ-**მი**-დ-ე	ვ-დგ-**მი**-დ-ე-თ
2	ს-წირ-**ვი**-დ-ე	ს-წირ-**ვი**-დ-ე-თ	ს-დგ-**მი**-დ-ე	ს-დგ-**მი**-დ-ე-თ
3	წირ-**ვი**-დ-ე-ს	წირ-**ვი**-დ-ე-ნ	დგ-**მი**-დ-ე-ს	დგ-**მი**-დ-ე-ნ

პირი	1-ლი ხოლმეობითი		1-ლი ხოლმეობითი	
	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	ვ-წირ-**ვი**-დ-ი	ვ-წირ-**ვი**-დ-ი-თ	ვ-დგ-**მი**-დ-ი	ვ-დგ-**მი**-დ-ი-თ
2	ს-წირ-**ვი**-დ-ი	ს-წირ-**ვი**-დ-ი-თ	ს-დგ-**მი**-დ-ი	ს-დგ-**მი**-დ-ი-თ
3	წირ-**ვი**-დ-ი-ს	წირ-**ვი**-დ-ი-ან	დგ-**მი**-დ-ი-ს	დგ-**მი**-დ-ი-ან

კიდევ ერთ მწკრივში (I ბრძანებითში) კი, უწყვეტლის მსგავსად, შერეული ვითარება გვაქვს:

პირი	1-ლი ბრძანებითი		1-ლი ბრძანებითი	
	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	----------	----------	----------	----------
2	წირ-**ევ**-დ(ი)	წირ-**ევ**-დ-ი-თ	დგ-**ემ**-დ(ი)	დგ-**ემ**-დ-ი-თ
3	წირ-**ევ**-დ-ი-ნ	წირ-**ვი**-დ-ედ	დგ-**ემ**-დ-ი-ნ	დგ-**მი**-დ-ედ

ეს გასათვალისწინებელია:

აღნიშნული თავისებური ზმნების I სერიის მწკრივთა შემოთავაზებული ნიმუშები შეგიძლიათ გამოიყენოთ ანალოგიური ზმნების ფორმათა შინაარსის მართებული გააზრებისათვის ძველ ქართულ ტექსტებში.

დავალება 1:

მოძებნეთ „შუშანიკის წამების“ ციტატებში ზემოთ განხილულ მწკრივთა ანალოგიური ზმნური ფორმები:

1. არამედ ძღუნად თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის-ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთისაჲთა. 2. - რაჲსა მკითხავ ამას? 3. და თანა მიიყვანა სამნი იგი ძენი და ერთი ასული და წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველისა და ესრეთ ილოცვიდა და იტყოდა: 4. და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა-იგი დღჱ და ღამჱ ზესკნელითა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით. 5. და ჩუენღა ამას განვიზრახევდით,

მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ 6. და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე-ხოლო-ვიდა, და თაყუანის-სცა პატიოსანსა ჯუარსა და მოიკითხა წმიდაჲ შუშანიკ. თანადაუჯდა და ჰკითხვიდა სალმობათა მათთჳს. 7. სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისასა და საყუარელსა ჩუენსა ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ. 8. „ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“. 9. აწ გლოცავ თქუენ, ქრისტჱს მიმართ სურვიელითა გულითა მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი. 10. არამედ ვერ განაცხადებდა თავსა თჳსსა სრულად ქრისტეანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტჱს მიმართ. 11. და მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ. 12. ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა. 13. - შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა... და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რაჲთა არა შეამთხჳო ძჯრი თავსა შენსა. 14. და დღე ყოველ იმარხავს და ღამის თევით დაადგრის განთიადმდე. 15. რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტჱსსა. 16. და რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს მისთჳს. 17. ხოლო წმიდაჲ იგი მარტჳლი დუმილით მჴნედ მიითუალვიდა მახჳლსა... და ტყუვილით რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განსთქუმედ ერსა შორის.

დავალება 2:

წარმოდგენილი ნიმუშების გათვალისწინებით შეავსეთ წინამავალ ტექსტში გამოვლენილი თითოეული ფორმა იმავე მწკრივის დანარჩენი პირის ფორმებით. ნიმუში პირველი მაგალითის მიხედვით:

პირი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	შე-ვ-ს-წირ-ევ-დ	შე-ვ-ს-წირ-ევ-დ-ი-თ
2	შე-ს-წირ-ევ-დ	შე-ს-წირ-ევ-დ-ი-თ
3	შე-ს-წირ-ვი-დ-ა	შე-ს-წირ-ვი-დ-ეს

6. ნაწილაკების როლი ძველ ქართულში

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავეცნობით ნაწილაკების დანიშნულებას ძველ ქართულში;**
- **გავიგებთ, რა არის საჭირო ნაწილაკიან ფორმათა შინაარსის მართებული გააზრებისათვის;**
- **გავითვალისწინებთ ზოგი ნაწილაკის გამოყენების თავისებურებას ძველ ქართულ ტექსტებში.**

გავიხსენოთ:

- ✓ ნაწილაკები მცირე ენობრივი ელემენტებია, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ სიტყვებზე თუ ფრაზებზე დართვისას მნიშვნელოვნად ცვლიან აზრს.
- ✓ ნაწილაკი შეიძლება დამოუკიდებელ სიტყვადაც შეგვხვდეს (**თუ**, **არა**, **ვერა**, **ნუ**...), ხშირად კი სიტყვაფორმას დაერთვის (იგი**ცა**, რაჲ**ღა**, ორი**ვე**...).

შევაჩეროთ ყურადღება ძველი ქართულის რამდენიმე სპეციფიკურ ნაწილაკზე:

1. კითხვითი ნაწილაკი -ა

გაიხსენეთ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ერთი ეპიზოდი, რომელშიც ასახულია ვიღაც ყმაწვილის მოსვლა შუშანიკის სენაკთან იაკობ ხუცესის დასაძახებლად:



„და ჩუენღა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“.
და მე ვარქუ, ვითარმედ: „რაჲ გინებს?“.
და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“.

ამ დიალოგში ორჯერ არის დასმული კითხვა: „იაკობ მანდა არსა?“ და „რაჲ გინებს?“.

პირველ მაგალითში „არ-ს“ ზმნას **ა** ხმოვანი მოსდევს, მეორე შემთხვევაში კი მსგავსი ზმნა „გინებ-ს“ ასეთი დაბოლოების გარეშეა.

ამ განსხვავებას თავისი ახსნა აქვს:

ძველ ქართულში **-ა** არის კითხვითი ნაწილაკი, რომელიც წინადადების რომელიმე წევრს დაერთვის და შეკითხვის შინაარსს გამოხატავს. ის მხოლოდ მაშინ არა ჩანს წინადადებაში, როდესაც კითხვის შინაარსს რომელიმე სხვა სიტყვა (ნაცვალსახელი ან ზმნიზედა) გამოხატავს: **ვინ**? **რა**? **სად**? **როდის**?.. დამოწმებულ მეორე ფრაზაში **-ა** ნაწილაკი სწორედ იმიტომ არა ჩანს, რომ აქ „**რა**?“ ნაცვალსახელი გვაქვს.

ეს გასათვალისწინებელია:

უფრო იშვიათად კითხვის შინაარსით **-მე** ნაწილაკიც შეიძლება შეგვხვდეს:

„**ვის-მე** ჴელ-ეწიფების ცხორებად?“

დავალება 1:

მოძებნეთ თქვენს სასწავლო ტექსტებში კითხვითი ნაწილაკების გამოყენების მაგალითები.

2. -მცა ნაწილაკის ფუნქცია ძველ ქართულში

-მცა ნაწილაკის გამოყენება ძველ ქართულ ტექსტებში ძალზე ხშირია, რადგანაც ის გადამწყვეტ როლს ასრულებს წინადადებაში კავშირებითი და პირობითი შინაარსის გამოსახატავად; კერძოდ:

თუ წინადადების კავშირს **-მცა** ნაწილაკი დაერთვის, მაშინ ზმნა აუცილებლად თხრობითი კილოს ფორმით გვექნება; ხოლო თუ ეს ნაწილაკი არ დაერთვის, ზმნა კავშირებითის ფორმით გამოიყენება. ამგვარად იქმნება შინაარსით თანასწორი სინტაქსური წყვილები:

ნაწილაკის გარეშე	-მცა ნაწილაკით
„რაჲთა აღაშენოს...“	„რაჲთა**მცა** აღაშენა...“
„უკუეთუ აღაშენოს“	„უკუეთუ**მცა** აღაშენა“

შევადაროთ:

ა) უკუეთუ არა, მოკუედინ იგი, **რაჲთა** არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტყჳთა მისითა.

ბ) და შეაჯერებდეს მას, **რაჲთამცა** მიჰრიდა და დაეშალა.

დავალება 2:

დააკვირდით მაგალითებს, გამოყავით მითითებულთა მსგავსი წყვილები (რაჲთა იქმნენ და მისთ.) **და შეურჩიეთ საპირისპირო ვარიანტები:**

1. და ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლან იგი. 2. უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა, ...იხილენით თავნი თქუენნი! 3. და ევედრებოდა მას ფრიად, რაჲთამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტეებაჲ მისი. 4. ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაჲთამცა სათნო-ეყო მეფესა. 5. და ევედრებინ ყოველთავე ლოცვის ყოფად მისთჳს, რაჲთამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტჱსსა. 6. ზრახვა-ყო, რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო, ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს. 7. და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაჲთამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა. 8. შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური. 9. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღჳნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. 10. და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიკ ციხედ... 11. და უნდა, რაჲთამცა ჰრქუა, თუ... 12. მე ამას მხიარულ ვარ, რაჲთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო. 13. მნებავს, რაჲთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტჳლობაჲ. 14. და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტჱსი. 15. ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოჲსასა, რაჲთა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა. 16. არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა. 17. და ითხოვა ჴელმწიფეთაგან, ამირათა ამის ქუეყანისათა, რაჲთა უშიშ-ყონ იგი ბოროტისაგან. 18. და მაშინ განიძარცუა მან სამოსელი თჳსი და განსცა იგი სავაჭროდ, რაჲთა უყიდონ მას სანთელად კერეონები და საკუმეველი, და წარჰსცა ყოველთა მათ ეკლესიათა ქალაქისათა, რაჲთა აღანთონ; 19. და მიავლინა ყოველთა მღდელთა ვედრებით, რაჲთა ლოცვა-ყონ მისთჳს. 20. ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რაჲთა განვიძარცო შიში ჴორცთა ამათ ჩემთაჲ. 21. აწ ბრძანე გუამი მისი მოცემად ჩუენდა, რაჲთა განვიღოთ და დავწუათ იგი ცეცხლითა და განვაქარვოთ იგი და აღვჴოცოთ საცთური ქრისტიანეთაჲ, რაჲთა იხილონ ყოველთა და შეეშინოს.

3. ჩვენებითი ნაცვალსახელები ნაწილაკის ფუნქციით

ნაწილაკების როლში ის ჩვენებითი ნაცვალსახელებიც გვხვდება, რომლებიც ძველ ქართულში ნაწევრებად დავასახელეთ (**ესე**, **ეგე**, **იგი**). კერძოდ, ეს ნაცვალსახელები ნაწილაკის ფუნქციას იძენდა მაშინ, როდესაც კითხვით ნაცვალსახელს ან ზმნიზედას დაერთვოდა. ამ დროს ის -ც(ა) ნაწილაკის ფუნქციას ასრულებდა, ფორმას აღარ იცვლიდა და შესაბამის სიტყვასთან დეფისით იწერებოდა (**რაჲ-იგი**, **რომელი-იგი**, **სადა-იგი**, **ოდეს-იგი**...).

მაგალითად:

...მოშიში ღმრთისაჲ, **ვითარცა-იგი** ვთქუთ, სიყრმითგან თჳსით (შუშან.);

...**რომელნი-ესე** ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა (აბო).

დავალება 3:

ამოიწერეთ ნაწილაკიანი ფორმები თქვენ მიერ შესწავლილი რომელიმე ძველი ქართული ტექსტიდან და განმარტეთ მსგავსი მაგალითები.

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება:

წერითი ნამუშევრის შექმნა ძველ ქართულში საკუთარი სახელების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დავალების პირობა

დააკვირდით იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ გამოყენებულ საკუთარ სახელებს და დაკვირვების შედეგები წარმოაჩინეთ წერითი ნამუშევრის სახით.

ტექსტის შედგენისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- ✓ საკუთარი სახელების ჯგუფები, რომლებიც გვხვდება იაკობ ხუცესის ტექსტში (მაგ.: პირთა სახელები, გეოგრაფიული სახელები...);
- ✓ რა თავისებურებებს გვიჩვენებს საკუთარ სახელთა თითოეული ჯგუფის ბრუნება ძველ ქართულში - შესაბამისი მაგალითების მოხმობით;
- ✓ კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი სათანადო დასკვნები;
- ✓ ცვლილებები, რაც განიცადა საკუთარ სახელთა ბრუნებამ.

7. „ვეფხისტყაოსნის“ ქართული

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავეცნობით შოთა რუსთაველის ენის თავისებურებებს;
- დავაკვირდებით: რომელ გრამატიკულ ფორმებს ინარჩუნებს ავტორი ძველი ქართულიდან და რომლები ჩაუნაცვლებია ახალი ქართულის ენობრივი ნორმებით;
- გავიაზრებთ: რა როლი შეუსრულებია შოთა რუსთაველის პოემას ძველიდან ახალ სალიტერატურო ქართულზე გარდამავალ პერიოდში.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:


თქვენ უკვე არაერთგზის გსმენიათ, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული კულტურის ისტორიაში, იგი საუკეთესოდ წარმოაჩენს ქართველი ერის მნიშვნელოვან წვლილს საკაცობრიო ცივილიზაციაში. ასევე შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედს არანაკლებ მნიშვნელოვანი




შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმში (ჯვრის მონასტერი), სავარაუდოდ XII ს.

წვლილი მიუძღვის ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებაში, მისი სრულიად ახალი საფეხურის შექმნაში. რუსთაველის გენიალურმა პოემამ ენობრივი თვალსაზრისით ერთგვარი მკვიდრი ხიდის ფუნქცია შეასრულა ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულს შორის. ის არსებითად დასაწყისია, მკვიდრი საფუძველია ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, რომლის განვითარების უწყვეტ გზასაც თქვენ თვალნათლივ ხედავთ მე-12 საუკუნიდან თანამედროვე მწერლობამდე. ამავე დროს, ამ განახლებას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ისე ახერხებს, რომ კვლავაც ინარჩუნებს ბევრ ძველ გრამატიკულ ნორმას. ამ შთაბეჭდილების შესაქმნელად საკმარისია თუნდაც მხოლოდ პოემის პირველი სტროფი:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.





„ვეფხისტყაოსნის“ იოანე ავალიშვილისეული ხელნაწერი, XVI ს. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სტროფის პირველივე სიტყვის (**რომელ-მან**) ფორმა ძველი ქართულის მოთხრობითი ბრუნვაა; ასევე ძველი ქართული ფორმებია: **არსნი**, **ყვნა**, **არს**, **ყოვლი**; სიტყვათა არქაული წყობა გვაქვს შესიტყვებებში: „**ძალითა მით ძლიერითა**“, „**სახითა მის მიერითა**“. ამის შესამოწმებლად შეგიძლიათ მითითებული ფრაზები ახალი ქართულით გადმოსცეთ.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად უკვე მითითებული არქაული ელემენტებისა, სტროფი ერთიანად მაინც ახალი ქართულის შთაბეჭდილებას ტოვებს: ფორმათა უმეტესობა ახალი ქართულისებურია და სტრიქონების საერთო წყობაც ახალ ვითარებას ასახავს.

დავალება:

აიღეთ ნებისმიერი სტროფი და მითითებულის ანალოგიით სცადეთ შეაფასოთ, რამდენია მასში ძველი ქართულის წილი და რას მიაკუთვნებდით ახალ ქართულს.

გავაანალიზოთ:

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ენობრივი თავისებურება:

შოთა რუსთაველის პოემის ენობრივი ბუნების გასააზრებლად, მისი მხატვრული ქსოვილის უკეთ გასაგებად შევეხოთ რამდენიმე მნიშვნელოვან თავისებურებას, ნამემკვიდრევს ძველი ქართულიდან:

1. **მოთხრობითი ბრუნვის ფორმა** ძირითადად არქაული ნორმით გვაქვს: „**ყმამან** უთხრა: „რაშიგან ხარ...“; „**ქალმან** მისცნა მარგალიტნი“; „ამა **დღემან** დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა“... დააკვირდით, მთელი სტროფის რითმა არის აგებული ამ ბრუნვაზე:

სხვაგან ქრის მისი გონება, **მისმან** თავისა **წონამან**!
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა **მონამან**.
არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა **კონამან**.

2. **ასევე უპირატესად ძველი წრფელობითის ფორმით** გვხვდება **საკუთარი სახელის** სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები:

„**ავთანდილ** ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი“;
„**ფარსადან** შექმნა ზეიმი ამა ამბისა მცნობელმან“;
„**რამაზ** მითხრა: „აღარ არის ამის მეტი ჩემი ღონე“ და მისთ.

მაგრამ იშვიათად შესაბამისი ბრუნვის ნიშნითაც დასტურდება: „**ასმათმან** წყალი დაასხა...“


3. **კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ?“** ძველ ქართულში იმასაც გამოხატავდა, რასაც ახალ ქართულში გამოხატავს მიმართებითი ნაცვალსახელი **„ვინც“**. პოემის ტექსტშიც ასეა:

„**ვინ** დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი, შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად...“ და მისთ.





„ვეფხისტყაოსნის“ ზაზასეული ხელნაწერის ფრაგმენტი, XVII ს. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



„აქა ავთანდილისა და სოგრატისა ჴმობა და თინათინის გაბატონება“



„ვეფხისტყაოსნის“ იოანე ავალიშვილისეული ხელნაწერი, XVI ს. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

4. **„ვეფხისტყაოსანში“ უმეტესად სახელის ძველებური (ნართანიანი) მრავლობითის ფორმები** გამოიყენება; ისინი რიცხვში შეთანხმებას ასევე ძველი წესით მოითხოვს როგორც მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში, ისე ზმნასთან ურთიერთობისას; მაგ.:

„ვერ დავდგები შეუყრელად ჩემ**თა** ცეცხლ**თა** მომდებრისად“;
„ყმა მტირალი შეებრალა, ამად ცხელ**ნი** ცრემლ**ნი** ღვარ**ნა**“;
„შენ არ ჯერ-ხარ, უსწავლელ**ნი** კაც**ნი** ვითმცა შევაჯერენ**!**“

5. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად იყენებს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ **ხოლმეობითის მწკრივებს**:

„რა **ესმოდის** მღერა ყმისა, სმენად მხეცნი **მოვიდიან, ისმენდიან, გაჰკვირდიან**, რა ატირდის, ატირდიან“.
„მინდორს თხა **მოკლის**, სადაცა ადგილი **დახვდის** კლდიანი, **შეწვის**, **ჭამის** და **წავიდის** პირმზე, გულმარხიანი“...

6. ჩვეულებისამებრ, არქაული ფორმით გვხვდება გარკვეული **გარდაუვალი ზმნების აწმყოსა და მყოფადის მე-3 პირის ფორმები:**

„მზისა შუქთა ვერმჭვრეტელი ია **ხმების**, ვარდი **ჭნების**“;
„თვით თუ არ გითხრობს, არ **ითქმის**, არც ვისგან **დაიჯერების**“...

7. „ვეფხისტყაოსანში“ ჯერ კიდევ ხშირია **სიტყვათა არქაული წყობა** (პარაგრაფის დასაწყისში მითითებული), როცა საზღვრული უსწრებს მსაზღვრელს:

„**კაცი ჯაბანი** რითა სჯობს **დიაცსა** ქსლისა **მბეჭველსა**?“
„**კაცი ცრუ** და **მოღალატე** ხამს ლახვრითა დასაჭრელად“;
„სჯობს **სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი**“ და მისთ.

8. სამაგიეროდ, პოემაში უკვე ძალზე იშვიათია **ზმნისწინთა ძველი ფორმები: აღ-, წარ-, გან, გარდა-;** მაგალითად: „მკვდარსა რაღა **გარდმეხდევის!**“ (ახალი ზმნისწინი ჩანს ისეთ ზმნაშიც კი, რომელსაც დღეს ძველი ფორმით ვიყენებთ: „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა **გაზრახულსა**“).

დავალება 1:

გამოკრიბეთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან (ან თქვენ მიერ შერჩეული ნებისმიერი მონაკვეთიდან) ანალოგიური მაგალითები, დაალაგეთ შემოთავაზებული კომენტარების გათვალისწინებით და დაარქვით „პროლოგის (ან – შესაბამისი მონაკვეთის) გრამატიკა“. შეგიძლიათ რვეულში ჩახაზოთ და მასალის გასანაწილებლად გამოიყენოთ შემდეგი სქემა:

„პროლოგის (ან - შესაბამისი მონაკვეთის) გრამატიკა“	
ენობრივი ნორმა	მაგალითები ტექსტიდან
მოთხრობითი ბრუნვის არქაული ფორმა	
საკუთარი სახელი წრფელობითის ფორმით	
კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ?“ მიმართებითი ნაცვალსახელის როლში	
(ნართანიანი) მრავლობითის ფორმები	
ხოლმეობითის მწკრივები	
გარდაუვალი ზმნების აწმყოსა და მყოფადის მე-3 პირის ფორმები	
სიტყვათა არქაული წყობა	
ზმნისწინთა ძველი ფორმები	

ეს გასათვალისწინებელია:

რუსთაველის ოკაზიონალიზმები

რუსთაველის გამორჩეული სიტყვის ხელოვნება და ენობრივი გამომსახველობა იმაშიც ვლინდება, რომ იგი მხატვრული მიზნის მისაღწევად ზოგჯერ ისეთ ახალ სიტყვაფორმასა თუ გამონათქვამს ქმნის, რომელიც მანამდე არავის გამოუყენებია, რომელიც ენის ისტორიაში პირველი და ერთადერთია.

ამგვარ იშვიათ ფორმებსა და გამონათქვამებს ოკაზიონალიზმებს უწოდებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა ამგვარი გაბედული სიახლეებითაც მდიდარია. მაგალითად, „**და**“ და „**ძმა**“ სიტყვებიდან პოეტი ოსტატურად აწარმოებს ზმნურსა თუ ხარისხის ფორმებს; მაგალითად:

ა) „ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა **იძმოს** და დაცა **იდოს**, ხამს თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს“.

იძმო-ს ნასახელარი ზმნის ანალოგიით **იდო**-ს ზმნა ნიშნავს: „დად გაიხადოს“.

ბ) „წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთესი,
აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო **დესი**“.

დესი არის „**და**“ სიტყვისაგან ნაწარმოები ხარისხის ფორმის (**უდესი**) შეკვეცილი ვარიანტი; ფრაზის შინაარსი კი ასეთია: „დაზე უფრო უკეთესი და (გიპოვნივარო)“.

გ) „აწ, თავმან ჩემმან, მას მოვკლავ, ჩემად დად ვინცა **მადესა**!“

ზმნა **მადესა** ნიშნავს „დად გამიხადეს“.

დ) „შენ გენუკევ, შემაჯერო, ღმერთი **იღმრთო**, ცაცა **იცო**, ერთმანერთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემომფიცო.“

ანუ: „ღმერთი ღმერთად მიიღო და ცა ცად გაიხადო“ და სხვ.

ამგვარად, რუსთაველის შემოქმედების ზოგი ენობრივი თავისებურება შეიძლება მხოლოდ „პოეტური თავისუფლებით“ აიხსნას. თუ გულდასმით მოუსმენთ პოეტის მეტყველებას, არაერთ ამგვარ მარგალიტს აღმოაჩენთ.

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება:

წერითი ნამუშევრის შექმნა შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი თავისებურებების შესახებ.

დავალების პირობა.

„ვეფხისტყაოსნის“ თქვენ მიერ შერჩეულ ეპიზოდში გამოავლინეთ პოემის ენობრივი თავისებურებები და დაკვირვების შედეგები წარმოაჩინეთ წერითი ნამუშევრის – „ვეფხისტყაოსნის“ (შერჩეული მონაკვეთის) გრამატიკა“ – სახით.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.


ნამუშევარში:

- ✓ წარმოაჩინეთ შოთა რუსთაველის ენის თავისებურებები;
- ✓ გამოკვეთეთ გრამატიკული ფორმები, რომლებსაც ძველი ქართულიდან ინარჩუნებს ავტორი და რომლებიც ჩაუნაცვლებია ახალი ქართულის ენობრივი ნორმებით;
- ✓ აღნიშნეთ, რომელ გრამატიკულ ფორმებს იყენებს პარალელურად ძველი და ახალი ქართულიდან და რა ინტენსივობით;
- ✓ იმსჯელეთ შოთა რუსთაველის პოემის როლზე ძველიდან ახალ სალიტერატურო ქართულზე გარდამავალ პერიოდში.

თავი 2
სინტაქსი. შესიტყვება და წინადადება

ამ თავში გაეცნობით:

- რა კავშირი აქვს ზმნის პირთა შემადგენლობას წინადადების სტრუქტურასთან;
- წევრთა რა შემადგენლობას გულისხმობს მარტივი წინადადება; რა პრინციპით იყოფა წინადადების წევრები მთავარ და არამთავარ წევრებად;
- რა როლს ასრულებენ წინადადებაში განსაზღვრებები და გარემოებები;
- როგორ იყოფა წინადადება შესიტყვებებად და რა ნიშნით ვადგენთ შესიტყვებათა სახეებს;
- რა ნიშნით განირჩევა მარტივი წინადადების სრული და უსრული, გაუვრცობელი და გავრცობილი სახეები.



სულხან-საბას ორბელიანის „სიტყვის კონის“ შესავალი, გრამატიკული მიმოხილვა, XVIII ს. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

„ვინაც იდუმალი და ანბანური სათნჯვ, ჩიქტრანდ
ვითნაკუთვნებულ- ძიჯ- ი და პარჩიძიძმა ცქიჩრეშა.“

ილია II

1. ზმნის პირიანობა (გამეორება)

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიხსენებთ: რამდენი პირი შეიძლება შეეწყოს ზმნას?**
- **როგორ შევუწყოთ პირები ზმნას?**
- **როგორ ვიპოვოთ პირისა და რიცხვის ნიშნები ზმნაში?**

გავარკვიოთ თანამიმდევრულად:

1. რამდენი პირი მონაწილეობს ამ ზმნებით გამოხატულ მოქმედებაში:

ყვირის, უყურებს, აჩვენებს?

2. როგორ ამოიცანით ამ პირთა რაოდენობა?

3. რომელი პირები აღმოჩნდა თითოეულ ზმნასთან შეწყობილი? რა განსხვავებაა მათ შორის?



გავიხსენოთ:

წაიკითხეთ პარაგრაფის ტექსტი და გაიხსენეთ ზმნის პირიანობასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებები:

ა) სხვადასხვა ზმნას შეიძლება შეეწყოს ერთი, ორი ან სამი პირი, ანუ ზმნა შეიძლება იყოს:
ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი.

ბ) ზმნას პირებად შეეწყობა პირის ნაცვალსახელები **(მე, შენ, ის/მან)**, ოღონდ მხოლოდ სახელობითი, მოთხრობითი ან მიცემითი ბრუნვების ფორმით (უთანდებულოდ);

გავიხსენოთ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურება, რადგან ისინი არ იცვლიან ფორმას პირველ სამ ბრუნვაში:

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:
იშვიათად ზმნას შეიძლება ოთხი პირიც შეეწყოს; მაგალითად: **მიჭმიე შენ მე ის მას**. დააკვირდით: სტუმარი მასპინძელს ეუბნება: „შენ ნურაფერზე შეწუხდები... ოღონდ ცხენებს **გვიჭმიე** და დაგვიმალე!“ (რევაზ ჯაფარიძე).

სახ.	**მე**	**შენ**	**ჩვენ**	**თქვენ**
მოთ.	**მე**	**შენ**	**ჩვენ**	**თქვენ**
მიც.	**მე**	**შენ**	**ჩვენ**	**თქვენ**
ნათ.	**ჩემ [მიერ]**	**შენ [მიერ]**	**ჩვენ [მიერ]**	**თქვენ [მიერ]**
მოქ.	-----	----	----	----
ვით.	-----	----	----	----
წოდ.	-----	**შენ, შე**	----	**თქვენ, თქვე**

გ) ზმნის პირთაგან ერთი **სუბიექტია**, დანარჩენი - **ობიექტ[ებ]ი**. სუბიექტური პირი მოქმედების შემსრულებელს გამოხატავს, ხოლო ობიექტური - იმას, ვისაც ან რასაც სუბიექტის მოქმედება მიემართება, ანუ ვინც (ან რაც) მოქმედების განმცდელია, სამოქმედოა.

ეს გასათვალისწინებელია:

ზმნისთვის პირებად შეწყობილი ნაცვალსახელები ზოგადად უთითებს მოქმედების მონაწილე სუბიექტ-ობიექტებს, ანუ არა ჩანს, კონკრეტულად ვინ ან რა იგულისხმება „ის“ ნაცვალსახელში. კონკრეტული სინამდვილე ცოცხლდება წინადადებაში, რომელშიც ზმნის პირებად არსებითი სახელები გვევლინებიან.



ბიჭი დედას თაიგულს უწვდის.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

რამდენი პირი მონაწილეობს **უწვდის** ზმნით გამოხატულ მოქმედებაში?

რომელია მათგან სუბიექტი და რომელი - ობექტ[ებ]ი?

დ) შეწყობილი პირები ზმნაში აჩენენ პირის ნიშნებს; ზმნის ფორმაში აისახება აღნიშნული პირების მრავლობითობაც.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

ვ-ხატავ	მე მას	ვ-ხატავ-თ	ჩვენ მას
მი-ს-ც-ა	მან მას ის	მი-ს-ც-ეს	მათ მას ის

მონახეთ: რომელი პირისა და რიცხვის ნიშნებია ასახული ზემოთ მოყვანილ ზმნებში?

ე) პირის ნიშნები (სუბიექტისაც და ობიექტ[ებ]ისაც) ზმნას დაერთვის თავსართ-ბოლოსართების სახით. ანუ: არსებობს პირის ნიშნების ორი ჯგუფი.

დააკვირდით და გაიხსენეთ, რომელია ეს ორი ჯგუფი და როდის არის წარმოდგენილი პირის ნიშნები თავსართის და როდის - ბოლოსართის სახით?

სუბიექტური		ობიექტური	
მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
1. ვ- ..... 2. (ს)- ..... 3. .....-ს, -ა, -ო	ვ- .....-თ (ს)- ..... -თ ...-ენ, -ეს, -ნენ, -ან, -ნ	1. მ- ..... 2. გ- ..... 3. ჰ-, ს-, 0	გვ- ..... გ- ..... -თ ჰ-, ს-, 0 .....(-თ)

თქვენი სიტყვებით შეაჯამეთ ზემოთ თქმული, ანუ ზმნის პირიანობასთან დაკავშირებული რა ძირითადი დებულებები გაიხსენეთ ამ პარაგრაფში?

დავალება 1:

ამოიწერეთ მოცემული ტექსტიდან ზმნები და შეუწყვეთ მათ შესაფერისი პირები:

(ნიმუშში: იჯდა [ის])

ბუხართან იჯდა ქიშვარდი ლომჯარია და ცეცხლზე სპილენძის კარდალით შემოდგმული წყლის გათბობას ელოდა. ცეცხლს უყურებდა ქიშვარდი ლომჯარია და ფიქრობდა: ,,არ უნდა გამეშვა ის ბიჭი, მაგრამ იმ ქალის საცოდაობას ვერ გავუძელი. ახლა მე ვარ იმ ქალის მდგომარეობაში, ერთი კვირის თავზე ავდგები, წავალ, ჩავუვარდები მუხლებში და ვთხოვ, დამიბრუნოს ჩემი ბიჭი... თუმცა ერთ კვირას რა გამაძლებინებს. ზეგ წავალ, ზეგ კი არა და, ხვალ, ხვალ დილით, ავდგები უთენია და... ღმერთო, მალე გაათენე ამაღამდელი ღამე...” ბუხართან იჯდა ქიშვარდი ლომჯარია, ცეცხლზე შემოდგმული წყლის გათბობას ელოდა და ასე ფიქრობდა, ოდის კარი რომ გაიღო და ოთახში მხარზე



წუღაგადაკიდებული, ფეხშიშველა და თავჩაქინდრული ბიჭი რომ შემოვიდა.

– დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი!

– დავბრუნდი! – თქვა ბიჭმა.

– ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდი, – თქვა მოხუცმა. მერე ქიშვარდი ლომჯარიამ ცეცხლიდან თბილი წყალი ჩამოდგა და შვილიშვილს თავისი ხელით დაუთბილა დაღლილი ფეხები. ტახტზე გაუშალა საწოლი და თავად პატარა ოთახში გავიდა დასაძინებლად.

შუაღამისას ბაბუამ შვილიშვილის ხმა გაიგონა:

– შეიძლება, ბაბუა, შენთან დავწვე?

– მოდი, ბაბუა! – უპასუხა მოხუცმა და კედლისკენ მიიწია. შვილიშვილი მივიდა, ლოგინში შეუწვა და კედლისკენ მიბრუნებულ ბაბუას ზურგზე მიეკრო.

,,რა ცივია საწყალი ბაბუა'', – გაიფიქრა შვილიშვილმა.

,,რა თბილია ეს მამაძაღლი", – გაიფიქრა ბაბუამ. ცოტა ხნის შემდეგ ბაბუამ ჰკითხა შვილიშვილს:

– იცი, რამ მოგიყვანა, ბაბუა?

– არა! – უპასუხა შვილიშვილმა.

– მე გეტყვი, აბა: სისხლმა მოგიყვანა, ბაბუა, სასწაულია სისხლი.

ამის მეტი იმ ღამით ბაბუასა და შვილიშვილს შორის არაფერი თქმულა, არც ერთი არაფერზე არ ფიქრობდა და არც არაფერს ლაპარაკობდა.

ბაბუასა და შვილიშვილს ტკბილად ეძინათ.

ნოდარ დუმბაძე - "სისხლი"

დავალება 2:

გადაიწერეთ რვეულში და შეუწყვეთ შესაფერისი პირები შემოთავაზებულ ზმნებს:

შედგება	დართო
მოსდო	ცეკვავს
გახვევს	ეხვევა
წაჰყვება	მომიტანა
ესვრის	ირყევა
აბნევს	გაგხვია
მოჰკვეთა	დაარტყა
უყურებდა	წაგართვა

დავალება 3:

გადაიწერეთ რვეულში ზმნები და აღნიშნეთ სიმბოლოებით, შეწყობილ პირთაგან რომელია სუბიექტი და რომელი – ობიექტი (სიმბოლოები: S - სუბიექტი, O - ობიექტი):

O S O

ნიმუში: გასმევს (შენ, ის, მას)

გხედავს (ის, შენ), მელოდება (მე, ის), ვეხვევი (მე, მას), მახვევს (მას, ის, მე), შემპირდა (მე, ის, მას), წამიკითხე (მე, შენ, ის), მოგიმზადებ (შენ, მას, მე), მიმზერს (მე, ის), გერგება

(ის, შენ), ასხია (ის, მას), მაცვივა (მე, ის), გგავს (შენ, ის), დამრთო (მან, მე, ის), გამოსცა (ის, მან), დასდევენ (ისინი, მას), ჩამოართვეს (მას, მათ, ის), მოკრიფა (მან, ის), შეაყარა (ის, მან, მას), შევაერთებ (მე, მას), შეგიდგენ (შენ, მე, მას).



დავალება 4:

გადაიხაზეთ სქემები რვეულში და ჩაწერეთ მოცემული ზმნა სქემის სათანადო უჯრაში ისე, რომ პირისა თუ რიცხვის ნიშანი შესაბამის უჯრაში გამოყოფილი აღმოჩნდეს. პირების შესადარებლად შეგიძლიათ სქემის დანარჩენი უჯრებიც შეავსოთ:

ვხვევ			
1	ვ	ხვევ	
2			
3			

ვადგენ			
1			
2			
3			

გპირდება			
1			
2			
3			

ვრიცხავთ			
1			
2			
3			

2. ზმნა და წინადადება

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **დავაკვირდებით: რა როლს ასრულებს ზ მ ნ ა წინადადების აგებაში;**
- **გავიაზრებთ: რამდენად განაპირობებს ზ მ ნ ი ს პირიანობა წინადადების შედგენილობას;**
- **დავადგენთ: როგორ წარმართავს ზ მ ნ ა სიტყვათა ურთიერთკავშირს.**

შეადგინეთ წინადადება შემდეგი სიტყვებით: **დარგვა, ბიჭი, ხე.**



დარგვა



ბიჭი



ხე

უპასუხეთ კითხვებს:

- ✓ დააკვირდით, რა დაგჭირდათ იმისათვის, რომ ამ ცალკეული სიტყვებისაგან წინადადება მიგეღოთ?
- ✓ ცალკე აღებული თითოეული სიტყვა, ცხადია, გარკვეულ მნიშვნელობას გამოხატავს, თუმცა მათგან შედგენილი წინადადება გაცილებით მეტს გვეუბნება. ცალკეული სიტყვებისაგან განსხვავებით, რას გამოხატავს ამ სიტყვათა შეკავშირება, ანუ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა?
- ✓ შეაჯამეთ ნათქვამი და განსაზღვრეთ, როგორ წარმოიქმნება წინადადება?

ახლა გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ მსჯელობას და შეამოწმეთ თქვენი დასკვნის სისწორე.

1. სიტყვათა (სიტყვაფორმათა) შეკავშირება ქმნის წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს.
2. წინადადება დამოუკიდებელ ა ზ რ ს (შინაარსს) გამოხატავს.

და კიდევ:

3. ამბობენ, რომ ზ მ ნ ა დამოუკიდებლად უკვე წინადადებაა.

მართლაც: როგორც წინადადება გამოხატავს დამოუკიდებელ აზრს, ცალკე ზმნასაც ასევე შეუძლია შეასრულოს ეს ფუნქცია; ანუ: ზმნას რომ წარმოვთქვამთ, ამით ავსახავთ მოქმედების შინაარსსაც და ამ მოქმედების მონაწილე პირებსაც ვგულისხმობთ. ზმნის „ტოლობა“ წინადადებასთან განსაკუთრებით კარგად ჩანს ე.წ. პირნაკლ ზმნაში (რომელსაც ერთი პირი ჰქონია და ისიც გაუჩინარებულა).

მაგალითად, დააკვირდით ზმნას **წვიმს**.

აშკარაა, რომ ეს ზმნა დამოუკიდებლად, სხვა სიტყვების დახმარების გარეშე, სრულყოფილად გადმოსცემს იმ მოვლენას, რომელსაც ლაპარაკი შეეხება. ამიტომაც მწერლები ასეთი ზმნის შემდეგ ხშირად ისევე სვამენ წერტილს, როგორც წინადადების დასრულებისას. მაგ.:

ირიჟრაჟა. ვარსკვლავთ ფერი ეცვალათ (სოფრომ მგალობლიშვილი);
თოვს... თოვლია, თუ თოლიამ ჩამიქროლა გამალებით?! (პეტრე გრუზინსკი).

რაც შეეხება ზმნასთან დაკავშირებულ (შეწყობილ) პ ი რ ე ბ ს, აშკარაა, რომ ისინი, ზმნასთან ერთად, წინადადების ყველაზე ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი წევრებია. მაგალითად:

ე რ თ პ ი რ ი ა ნ ი ზმნა მინიმუმ ო რ წ ე ვ რ ი ა ნ ი წინადადებას იქნება:

ბიჭი ოცნებობს.


ო რ პ ი რ ი ა ნ ი ზმნა ს ა მ წ ე ვ რ ი ა ნ წინადადებას შეადგენს:

გოგონა გაკვეთილს სწავლობს.

ს ა მ პ ი რ ი ა ნ ი ზმნა - ო თ ხ წ ე ვ რ ი ა ნ წინადადებას:

გოგონამ ბიჭს წიგნი ათხოვა.

ყველა ამ წინადადებაში ზმნას, სადაც არ უნდა იდგეს ის, ცენტრალური ფუნქცია აკისრია; სქემატურად:




ხატოვნად რომ წარმოვიდგინოთ:

ზმნა წინადადების გულია (ცენტრალური ორგანოა), რომელთანაც სხვა „ორგანოები“ (წევრები) არის დაკავშირებული - უშუალოდ ან გაშუალებულად. უშუალოდ დაკავშირებული ის წევრები გამოდის, რომლებიც ზმნის პირებს წარმოადგენენ, ხოლო გაშუალებულად დაკავშირებული - ისინი, რომლებიც, თავის მხრივ, უშუალო წევრებს უკავშირდებიან.

მაგალითად, ავიღოთ ბოლო წინადადების გართულებული ვარიანტი:

უფროსმა გოგონამ პატარა ბიჭს სათავგადასავლო წიგნი ათხოვა.

გამოვსახოთ ის სქემატურად, რათა უკეთ დავინახოთ ზმნასთან უშუალოდ დაკავშირებული და მათი მეშვეობით, ანუ გაშუალებულად დაკავშირებული წევრები:



შეაჯამეთ ზემოთ ნათქვამი და ჩამოაყალიბეთ წინადადების განსაზღვრება:

1. რა არის საჭირო იმისათვის, რომ ცალკეული სიტყვებისაგან წინადადება მივიღოთ?
2. სიტყვათა როგორი კავშირია წინადადება, ანუ რას უნდა გამოხატავდეს სიტყვათა კავშირი, რომ ის წინადადებად ჩაითვალოს?
3. რა განაპირობებს წინადადების აუცილებელ წევრთა რაოდენობას?


დავალება 1:

ჩამოთვლილ სიტყვათა ჯგუფებიდან რვეულში გადაიწერეთ მხოლოდ დასრულებული წინადადებები და თითოეულის ბოლოს დასვით შესაფერისი სასვენი ნიშანი:

1. მე გამიკვირდა ეს ამბავი
2. ის ელოდებოდა მზის ამოსვლა
3. მთები ბანს ეუბნებიან ამირანს
4. ნეტა რატომ შეკრება ბავშვები ბებიასთან
5. სკოლაში მიმავალ ლაშას წვიმა მოვიდა
6. გოგონებმა მოხუცს წყალი ამოურბენინეს
7. მზემ არემარეს გაანათა
8. პაპამ შვილიშვილებს ხეჭეჭურის ნერგი დაურგო
9. დედამ სარეცხი თოკზე გაფენა
10. ჩიტი ბარტყებს ბუდეში უზიდავდა საკვებს
11. ბულბულები გალობა დაიწყო


დავალება 2:

ორი-სამი წინადადებით აღწერეთ ქვემოთ მოცემული სურათები. აღწერის დროს გამოიყენეთ ზმნები, რომლებიც მთელ წინადადებას უდრის.











დავალება 3:

შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით; ამისათვის ჯერ შეუწყვეთ პირები თითოეულ მათგანს, რათა განსაზღვროთ, მინიმუმ რამდენწევრიანი შეიძლება იყოს შესაბამისი წინადადება; შემდეგ კი შეწყობილი პირების ადგილას არსებითი სახელები ჩასვით:

ვუახლოვდები. ავსებდა. მოიპოვა. მიაღწევს. შემოიკრიბა. მიადუღებს. დასტიროდა. აუშენა. მიაყოლებს. დამაინტერესა. ჩამოჰკიდა. მიუსაჯეს. გადაუწერეთ. შეაჩერებინა.

დავალება 4:

მოცემული წინადადებებიდან გამოყავით ზმნები და წინადადების წევრების ნაცვლად შეუწყვეთ შესაბამისი პირები (ნაცვალსახელები):

1. ადიდებული მდინარე ნაპირებს ურეცხავდა სოფლის ყანებს.
2. თემომ მაგიდის ნათურის ჩამრთველს თითი დააჭირა.
3. მზემ ოქროს სხივები მოჰფინოს ჩემს ქვეყანას.
4. წარმოთქმულ სიტყვებს ქალმა თითების კაკუნი ააყოლა.
5. ეს ნანგრევები მეც მომბერენ ათასგვარ ქარებს.
6. მხოლოდ ერთი ფიქრი უბურღავდა მშრომელებს ტვინს.
7. ასწლოვან მუხას მე თავს ვაფარებ.
8. კაცს სახეზე იშვიათად შეამჩნევდით ღიმილს.
9. სანიტარმა გულწასულს ჯერ საყელო შეუხსნა.

3. მარტივი წინადადება და წინადადების წევრები

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **დავაკვირდებით, როგორ ყალიბდება მარტივი წინადადება;**
- **გავარკვევთ: წინადადების რომელი წევრები ასრულებენ აუცილებელ როლს მარტივი წინადადების წარმოქმნაში;**
- **დავადგენთ: რა არის (რა სახის სტრუქტურაა) მ ა რ ტ ი ვ ი წინადადება.**



დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

- ✓ როგორც დავინახეთ, ზმნა თავად არის მინიატიურული წინადადება. მოდით, დავასაბუთოთ ეს მოსაზრება (გავიხსენოთ, მოქმედების გარდა, კიდევ რა აისახება ზმნაში);
- ✓ ამგვარად: თუ ავიღებთ რომელიმე ზმნას და პირებს შევუწყობთ, წინადადების „დაბადების“ მოწმენი გავხდებით. როგორ ფიქრობთ, მ ა რ ტ ი ვ ი იქნება ამგვარი წესით მიღებული წინადადება თუ რ თ უ ლ ი?

ახლა კი წავიკითხოთ პარაგრაფის ტექსტი და შევამოწმოთ ჩვენი დასკვნის მართებულობა.

ნებისმიერი ტექსტის კითხვისას ვხვდებით, რომ წინადადებათაგან ზოგი მარტივია, ზოგი კი – რთული.

ოღონდ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ის, რომ ერთი წინადადების შინაარსი ადვილად გასაგებია, მეორისა კი უფრო რთულია. აქ იგულისხმება წინადადების აგებულების (შედგენილობის) სიმარტივე-სირთულე. ამიტომაც ამ ტერმინებს – მ ა რ ტ ი ვ ი და რ თ უ ლ ი – წინადადების განხილვისას ხშირად გამოვიყენებთ.

როგორც დავინახეთ, ზმნა და მასთან შეწყობილი აუცილებელი პირები უკვე ქმნიან დასრულებულ (სრულყოფილ) წინადადებას; ანუ: ყოველი კონკრეტული ზმნის შესაბამისი წინადადება შეიცავს იმდენ აუცილებელ წევრს, რამდენიც არის ზმნასთან შეწყობილი პირი + 1 წევრი (თავად ზმნა); შესაბამისად:

ა) პირნაკლი ზმნა ქმნის ერთწევრიან წინადადებას:
ცივა. წვიმს. ბნელა.

ბ) ერთპირიანი ზმნა - ორწევრიან წინადადებას:
ჩიტი გალობს. ხბო დარბის.

გ) ორპირიანი ზმნა - სამწევრიან წინადადებას:
გოგონა ალაგებს ოთახს. კურდღელი ძოვს ბალახს.

დ) სამპირიანი ზმნა - ოთხწევრიან წინადადებას:
ნიკო წიგნს უბრუნებს ბიბლიოთეკას.

ა მ გ ვ ა რ ა დ :
ყოველი წინადადება, რომელიც მხოლოდ ზმნასა და მასთან შეწყობილ პირ[ებ]ს შეიცავს, არის **მარტივი წინადადება**.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

მარტივი წინადადების აუცილებელი წევრებია ზმნა და მასთან შეწყობილი პირები.
ე. ი. აუცილებელი წევრებია: **ზმნა, სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, ირიბი ობიექტი.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

სინტაქსის წიგნებში წინადადების ამ წევრების აღსანიშნავად შეიძლება ასეთი ტერმინებიც შეგხვდეთ:

ზმნა – **შემასმენელი**;
სუბიექტი – **ქვემდებარე**;
პირდ. ობიექტი – **პირდ. დამატება**;
ირიბი ობიექტი – **ირიბი დამატება**.

დ ა ვ ა ს კ ვ ნ ა თ:



ირემმა ირემს ბალახი გაუწოდა.
ასეთი შედგენილობის წინადადება არის სრულყოფილი მარტივი წინადადება, ანუ წინადადება, რომელსაც არც აკლია და არც მეტი აქვს რომელიმე წევრი.

ლოგიკური ამოცანა:

რაკი ეს ითქვა, ე.ი. შეიძლება არსებობდეს მარტივი წინადადება, რომელსაც, მითითებულთან შედარებით,

- ✓ ან აკლია რომელიმე აუცილებელი წევრი,
- ✓ ანდა აუცილებელ წევრებს სხვა რომელიმე წევრიც ემატება.

ეს შემთხვევები შემდგომ იქნება განხილული.

აუცილებელია გავითვალისწინოთ:

მარტივ წინადადებაში უმთავრესი წევრი - ზ მ ნ ა - **შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი**. თუკი რომელიმე წინადადებაში ორი (ან მეტი) ზმნა გვაქვს, ის მარტივი წინადადება არ იქნება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

1. შეიძლება წინადადებაში ზოგჯერ ზმნა არც ჩანდეს, მაგრამ იგულისხმებოდეს; ასეთი შემთხვევები გვხვდება სათაურებში, არასრულ წინადადებებში და სხვ. მაგალითად:

თებერვალი – **ზამთრის ბოლო** თვე (იგულისხმება „არის“).

„**ორნი ნავში**“ (იგულისხმება „არიან“).

2. ზმნა, როგორც წინადადების წევრი, შეიძლება იყოს როგორც მ ა რ ტ ი ვ ი (მაგ. **აფარია**), ასევე – შ ე დ გ ე ნ ი ლ ი (მაგ. **დაფარებული აქვს**).

შედგენილ ზმნას წინადადებაში წარმოქმნის გრამატიკული შეერთება მიმღეობისა (ან სხვა სახელისა) და მეშველი ზმნისა (არის, იყო, იქნება, აქვს, ჰყავს, ექნება...). მაგ.:

მდინარეზე **გადებული იყო** ხიდი (შდრ. **გადებულია**).
მანქანას ხეები **ჰქონდა მიბმული**.
იოსები სოფლის **ექიმი ყოფილა**.

ამ წინადადებებში „გადებული იყო“, „ჰქონდა მიბმული“, „ექიმი ყოფილა“ („ექიმია, ექიმი ხარ...“) ერთ წევრს წარმოადგენს და ის შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ზ მ ნ ა ა.

შევაჯამოთ ზემოთ თქმული:

1. როგორია (რა შედგენილობისაა) **სრულყოფილი მარტივი წინადადება**?
2. რომელია მარტივი წინადადების **უმთავრესი წევრი**, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს წინადადებაში.
3. როგორია წინადადება, რომელშიც ორი ან მეტი ზმნა გვაქვს?

დავალება 1:

შეადგინეთ მარტივი წინადადებები შემდეგი ზმნების მიხედვით:

აცხადებს. უცხადებს. წაიკითხა. წაუკითხა. მოინახულა. განავრცო. შეადგენს. წარუდგენს. ჩაუთვალა. შეახსენეს. განავითარეს.

დავალება 2:

გადაიწერეთ ტექსტი რვეულში. დააკვირდით, სად მთავრდება თითოეული წინადადება და დასვით სასვენი ნიშნები. მარტივ წინადადებებს ქვეშ ხაზი გაუსვით.

შებინდდა და წავედი ჩავიდე ხანჯლისშვილი აექ შარვლის სალტაში და წავედი სამელეში ისეთი მივდივარ ჩემი მგონია ქვეყანა მივედი ანტონეს ნაბინავართან პატარა შუქი გამოკრთის შევიხედე შევედი წრუტი ზის წრუტის მამინაცვალი და ორიც კიდე სხვა მიიწ-მოიწიეს აქ დაჯექიო დავჯექი ცოტა ხანში კიდევ ხუთნი მოვიდნენ ბოლოს მოვიდა ტორიანი ეგაც ხომ გაგიგონია დიდი მამულების დამ- კარგავი ციხეში ნავჯდომი ტორები ჰქონდა მართლა რა ვაშლივით დაიჭერდა ადამიანის თავს დაჯდა მუხლებზე დაიწყო ის ტორები საზარლად გახსნა კრება როგორც წესია და რიგი თვითონვე ილაპარაკა.

რევაზ ინანიშვილი - „წიგნი“



4. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიხსენებთ, რას ნიშნავს წინადადების მ თ ა ვ ა რ ი წევრები;**
- **გავარკვევთ: რომელია წინადადების ა რ ა მ თ ა ვ ა რ ი წევრები;**
- **ვისწავლით: როგორ გავარჩიოთ დამოუკიდებლად, მ თ ა ვ ა რ ი ა თუ ა რ ა მ თ ა ვ ა რ ი წინადადების ესა თუ ის წევრი.**

წინა პარაგრაფში ჩამოყალიბებული აზრის გასაგრძელებლად ვუპასუხოთ კითხვებს:

- ✓ წინადადების წევრები სხვადასხვა როლს ასრულებენ წინადადებაში. რომელ წევრს ეკუთვნის მათგან უმთავრესი როლი?
- ✓ რომელი წევრები ითვლება წინადადების აუცილებელ წევრებად?
- ✓ შეიძლება თუ არა ზმნას და მასთან შეწყობილ პირებს წინადადების მთავარი წევრები ვუწოდოთ?
- ✓ შესაბამისად, რომელი სიტყვები იქნება, თქვენი აზრით, წინადადების არამთავარი წევრები?

ახლა გაეცანით პარაგრაფის ტექსტს და შეამოწმეთ თქვენი დასკვნის მართებულობა:

ამგვარად, წინადადების შემადგენელი სრულმნიშვნელოვანი სიტყვები **მ თ ა ვ ა რ** და **ა რ ა მ თ ა ვ ა რ** წევრებად იყოფა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

წინადადებაში გვხვდება მნიშვნელობის არმქონე სიტყვებიც, რომლებიც ფუნქციით არცერთ ამ ჯგუფს არ განეკუთვნება; მაგ.: ნაწილაკები (**არ**, **ვერ**, **განა**...), კავშირები (**და**, **მაგრამ**, **ხოლო**, **რომ**...).

წინადადების მ თ ა ვ ა რ ი წევრებია ზმნა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული პირები - სუბიექტი და ობიექტები. მაგალითად, **ესროლა** ზმნას 3 პირი შეეწყობა (მან მას ის); შესაბამისად, 4 აუცილებელი წევრი გვაქვს წინადადებაში: **„ე ს რ ო ლ ა მშვილდოსანმა სამიზნეს ისარი“**, ანუ ამ წინადადებაში მხოლოდ მთავარი წევრებია:

ე ს რ ო ლ ა	მშვილდოსანმა	სამიზნეს	ისარი
ზმნა	სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდაპირი ობიექტი

ნებისმიერი სხვა სიტყვა, რომელიც შეიძლება ამ წინადადებას დაემატოს, იქნება **არამთავარი** წევრი; მაგალითად, ჩავრთოთ მოყვანილ წინადადებაში კიდევ ერთი შესაძლებელი წევრი:



ესროლა მეორე მშვილდოსანმა სამიზნეს ისარი.

შესაბამისად, **„მეორე“** არამთავარი წევრია.

ამგვარად: არამთავარია ის წევრი, რომელიც ზმნას პირად არ შეეწყობა.

როგორც ვნახეთ, მთავარი წევრების რაოდენობა ზუსტად არის განსაზღვრული და ის ზმნის პირიანობას (პირების რაოდენობას) უკავშირდება.

არის თუ არა ასევე ზუსტად განსაზღვრული არამთავარი წევრები?


თურმე ამის განსაზღვრა შეუძლებელია: უკვე დავრწმუნდით, რომ არამთავარი წევრი წინადადებაში შეიძლება საერთოდ არ იყოს; ასევე შესაძლებელია, რომ ამგვარი წევრების რაოდენობა წინადადებაში იმაზე ბევრად მეტი იყოს, ვიდრე მთავარი წევრები.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

არამთავარი წევრები, ჩვეულებისამებრ, მთავარ წევრებს მიემართება. თითოეულ მთავარ წევრს კი შესაძლებელია ერთი ან მეტი არამთავარი წევრი ერთვოდეს. გამოვსახოთ ეს შესაძლებლობა სქემატურად:

მთ. წევრი	ე ს რ ო ლ ა	მშვილდოსანმა	სამიზნეს	ისარი
არამთ. წევრი	შემდეგ	მეორე	გადახრილ	ბოლო
სათადარიგო არამთ. წევრი	დაუყოვნებლივ	მზადმყოფმა	შორეულ	შემორჩენილი

დიაგრამის სახით:



როგორც ხედავთ, არამთავარ წევრთაგან ერთი (**„შემდეგ“**) უშუალოდ ზმნას მიემართება, დანარჩენები - ზმნასთან შეწყობილ სახელებს (პირებს).

იმ არამთავარ წევრს, რომელიც ზმნას მიემართება, **გ ა რ ე მ ო ე ბ ა** ჰქვია, ხოლო იმას, რომელიც სუბიექტ-ობიექტებს მიემართება, **გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა.**

ეს გასათვალისწინებელია:

ზმნასთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი წევრი, რომელიც თავისი შინაარსით სუბიექტ-ობიექტებს უდგას გვერდით, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ზმნას პირად არ შეეწყობა; მას თანდებულიანი ნათესაობითის (ან სხვა ბრუნვის) ფორმა აქვს. ობიექტებისაგან გასარჩევად მას დ ა მ ა ტ ე ბ ა ვუწოდოთ. მაგ., შეადარეთ ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფორმის პირთა შემადგენლობა:

ესროლა	მშვილდოსანმა	სამიზნეს	ისარი
უსროლია	მშვილდოსანს	სამიზნისთვის	ისარი



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

სამიზნეს ირიბი ობიექტია, ხოლო **სამიზნისთვის** არის დამატება.



დავალება 1:

გადაიწერეთ რვეულში, განსაზღვრეთ მთავარ წევრთა რაობა და მოუძებნეთ (მოუფიქრეთ) თითო არამთავარი წევრი მოცემულ წინადადებათა მთავარ წევრებს:

ნიმუში:

ზმნა	სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდაპირი ობიექტი
ესროლა	მშვილდოსანმა	სამიზნეს	ისარი
(შემდეგ)	(მეორე)	(გადახრილ)	(ბოლო)

1. სტუმრები მოსწავლეებს საჩუქრებს ურიგებდნენ.
2. ბიჭებმა თხილამურებს თოკები დაახვიეს.
3. მუშები დედაბერს მინდორს უთოხნიდნენ.
4. ყიზილბაშები ტყეებს ცეცხლს უკიდებდნენ.
5. სოფელმა ბოშებს საჭმელ-სასმელი გამოუტანა.
6. მლოცველებმა ხეებს ნაჭრები შეაბეს.
7. სოფომ დედამისს საწველელი გამოურბენინა.
8. დებმა თოჯინა ჭინჭებში შეახვიეს.
9. მშენებლები ტაძრისთვის საძირკველს ამზადებდნენ.
10. სესემ ბელურას ბარტყები ამოუსხა.
11. მზემ მინდვრებს ბუღი აადინა.
12. მასწავლებელმა ბავშვებს დავალება ჩაანიშვნინა.



დავალება 2:

გადაიხაზეთ მოცემული სქემა რვეულში და შეავსეთ შესაბამისი უჯრები შემდეგი წინადადებებიდან ამოწერილი არამთავარი წევრებით.

1. თაკარა მზემ შუადღისას პაპანაქება დაატრიალა.
2. პატარობაში მე ძალიან ბევრს ვთევზაობდი ანკესით.

3. მშობლებმა უფროსი ბიჭი ქუთაისში ჩაიყვანეს სასწავლებლად.
4. მან პასუხს არ დაუცადა ადიდებული მდინარისას.
5. მე მოუთმენლად ველოდები შენს წერილს.
6. ამომავალი მზე თბილისისაკენ უხვად ისროდა ცეცხლის ისრებს.
7. თბილმა ქარმა აღმოსავლეთისაკენ გადარეკა მძიმე ღრუბლები.
8. პატარა ბიჭმა გამოაძრო წნელის კონას მოზრდილი სახრე.
9. მერე მღვდელი რაღაცას ეუბნება ფარაჯაში გახვეულს.
10. მრავალფერ ბუნებას ჩემი ქვეყნის ფერი ემატებოდა.
11. ბოლოს დედამისმა უცხო სტუმარს თავი დაუქნია გაუბედავად.
12. უამბობს ძიძა ტკბილ ამბებს მძიმე ავადმყოფს.
13. პირველ მხედარს გრძელი მათრახი ღონივრად ჩაებღუჯა.
14. დილით ადრე ამდგარი პაპა ჯერ დაკეტილ საქათმეს მიადგა.

ნიმუში:

	დამატება	**განსაზღვრება**	**გარემოება**
1		თაკარა	შუადღისას
2			
3			

5. განსაზღვრება და მისი სახეები

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიხსენებთ, რა არის განსაზღვრება;**
- **გავარკვევთ: რა და რა სახის განსაზღვრება არსებობს;**
- **დავაკვირდებით: რა უნდა გავითვალისწინოთ განსაზღვრებათა გარჩევისას.**

გავიხსენოთ ბოლო დიაგრამა, რომელიც წინადადების მთავარი და არამთავარი წევრების ურთიერთმიმართებას ასახავს და ვუპასუხოთ კითხვებს:

- ✓ წინადადების რომელ წევრებს უკავშირდება სიტყვები: **მეორე, გადახრილი, ბოლო?**
- ✓ როგორ ფიქრობთ, რას აზუსტებენ, ანუ რა ფუნქციას ასრულებენ ეს სიტყვები?
- ✓ წინადადების მთავარი წევრებია ისინი თუ არამთავარი?
- ✓ ამ სიტყვებს უკვე ვუწოდეთ **განსაზღვრებები**. შეგიძლიათ, ამ ინფორმაციის მიხედვით განმარტოთ, რა არის **განსაზღვრება**?


ახლა წავიკითხოთ პარაგრაფის ტექსტი და შევამოწმოთ ჩვენი პასუხები.

I. წინა პარაგრაფში დავინახეთ, რომ განსაზღვრებები მიემართება ზმნის სუბიექტ-ობიექტებს.

დაზუსტება:
განსაზღვრება შეიძლება ახლდეს ზმნასთან დაკავშირებულ გარემოებასაც, თუკი ის არსებითი სახელით არის გამოხატული.

ამგვარად, **განსაზღვრება** არის წინადადების არამთავარი წევრი, რომელიც უკავშირდება ზმნასთან შეწყობილ რომელიმე წევრს და რაიმე ნიშნის (თვისების) მიხედვით განსაზღვრავს მას.

დავაკვირდეთ სანიმუშო სქემას:



ანუ: **„მეორე“** არის სუბიექტის **(მშვილდოსანი)** განსაზღვრება, **„გადახრილ(ი)“** - ირიბი ობიექტისა **(სამიზნე)**, **„ბოლო“** - პირდაპირი ობიექტისა **(ისარი)**, ხოლო **„სპორტულ(ი)“** - გარემოებისა **(არენაზე)**.

II. განსაზღვრებად შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი):

ა) განსაზღვრების როლს ძირითადად ასრულებს ზედსართავი სახელი:
ბოლო ისარი. **ნათელი** დღე. **უმაღლესი** განათლება.

როგორც იცით, ამავე ჯგუფს ეკუთვნის მიმღეობები:
ახდენილი ოცნება. **გაცდენილი** გაკვეთილი. **წათლილი** ფანქარი.

ბ) რიცხვითი სახელი:
მეორე მონადირე. **ათასი** წელი. **მეოთხედი** საუკუნე.

გ) ნაცვალსახელი:
ჩემი მეგობარი. **რამდენიმე** საკითხი. **რომელი** მოსწავლე?

დ) თვით არსებითი სახელი:
ექიმი პავლე. **ჭიქა** წყალი. **ურემი** შეშა.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

განსაზღვრება შესაბამის სახელთან მიმართებით არის მსაზღვრელი, ხოლო ის სახელი, რომელსაც მიემართება - საზღვრული.

როგორც მოყვანილი მაგალითები გვარწმუნებს, განსაზღვრება იმავე ფორმაში დგას, რომლითაც გამოიყენება შესაბამისი საზღვრული სახელი. ასეთი განსაზღვრების ამოსავალი ფორმა სახელობითი ბრუნვაა: **ნათელი** დღე, **ნახევარი** წელი.

ეს გასათვალისწინებელია:

არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი განსაზღვრებები, რომელთა ამოსავალი ფორმა არა სახელობითი, არამედ ნათესაობითი ბრუნვაა; ასეთი მსაზღვრელები შესაბამისი საგნის (საზღვრულის) მასალას ან კუთვნილება-დანიშნულებას გამოხატავენ; მაგალითად:

ა მ გ ვ ა რ ა დ:

წინადადებაში განსაზღვრებას ამოვიცნობთ კითხვებით: **როგორი? რომელი? რანაირი? რამდენი? სადაური? როდინდელი?**

ამას ემატება სუბსტანტიური მსაზღვრელის კითხვები: **ვისი? რისა?**

ქვის ქანდაკება. **ხის** საამქრო. **ძმის** სახლი.

რადგანაც ამგვარ მსაზღვრელად არსებითი სახელი გვევლინება, მას ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი უ რ მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ს უწოდებენ (**სუბსტანტივი** - ლათ. არსებითი სახელი).

განსაზღვრება (მსაზღვრელი) უპირატესად წინ უძღვის საზღვრულს: **თეთრი** ირემი და სხვ.

ასევე შესაძლებელია, რომ ის საზღვრულს მოსდევდეს: მთანი **მაღალნი**. ძმათა **მრავალთა**. გზა **მიუვალი**.


აგრეთვე შესაძლებელია, რომ წინამავალი თუ მომდევნო განსაზღვრება გ ა თ ი შ უ ლ ი იყოს საკუთარი საზღვრულისაგან; მაგ.: **მწვანე** დაცვივდა ფ ო თ ო ლ ი. გ ზ ა შეიმოკლეს **სავალი**.

განსაზღვრების განსაზღვრება!

წინადადებაში განსაზღვრებად გამოყენებულ სახელს შეიძლება თავადაც ახლდეს განსაზღვრება, ანუ გვქონდეს განსაზღვრების განსაზღვრება. აბა, დააკვირდით ამ წინადადების სქემატურ სურათს:

ბაღში იდგა თეთრი მარმარილოს ქანდაკება.





როგორც ხედავთ, ქანდაკება მარმარილოსია, ანუ „მარმარილოს“ არის **ქანდაკების** მსაზღვრელი, ხოლო მარმარილო თეთრია, ანუ „თეთრი“ **მარმარილოს** მსაზღვრელია.

შეიძლება ტექსტებში ასეთი ორმაგი (და სამმაგი) განსაზღვრების არაერთი მაგალითი შეგხვდეთ.

ჩვენი სიტყვებით შევაჯამოთ პარაგრაფში გადმოცემული ინფორმაცია:

- ✓ რა არის და რა ფუნქცია აქვს წინადადებაში განსაზღვრებას?
- ✓ რომელი კლასის სიტყვები ასრულებენ წინადადებაში განსაზღვრების როლს?
- ✓ მსაზღვრელ-საზღვრულის როგორი განლაგება შეიძლება შეგვხვდეს წინადადებაში?
- ✓ შეიძლება თუ არა წინადადებაში იყოს ორმაგი განსაზღვრება?

დავალება 1:

იპოვეთ მოცემულ ტექსტში განსაზღვრებები. დააკვირდით, რომელ საზღვრულს მიემართება თითოეული მათგანი და რვეულში ამოწერილ თითოეულ საზღვრულს მიუწერეთ თავიანთი მსაზღვრელები.

(ნიმუში: **შემოღობილები - ბინდგადაკრული, გრილი, შეფერდებული**).

ტყე გათავდა და ბინდგადაკრული გრილი, შეფერდებული შემოღობილები დაიწყო. ამ შემოღობილებში კარტოფილი, სიმინდი და აქა-იქ მზესუმზირაც იდგა; შიგადაშიგ დამრგვალებული, ჩაშავებული ხეებიც ჩაყუჩებულიყვნენ ყარაულებივით; სადღაც ვიწროში წყალი ჩამოჩხრიალებდა, პატარა წყალი, თითქოს იქიდან მოდიოდა ნიავი, რომელსაც მოჰქონდა სველი ლამისა და ახალი ნაკელის სუნი; ყველა და ყველაფერი, სულიერ-უსულო, მოქცეული ვიყავით ერთი სუფთა, მოლურჯო-მონაცრისფრო უძრავი ცის ქვეშ; და კიდევ უფრო დავმშვიდდით, მხრებში გავიშალეთ და თავაწეულები, გახალისებულნი მივეცენით გზას...

რევაზ ინანიშვილი, „დედა მარიამი“

დავალება 2:

გადაიწერეთ წინადადებები რვეულში. დააკვირდით ამ წინადადებებში გამოყენებულ განსაზღვრებებს და აღნიშნეთ თითოეულის მიმართება საზღვრულთან (ანუ – წინ უსწრებს ის საზღვრულს, უკან მოსდევს, თუ სხვა სიტყვებითაა გათიშული მისგან):

ნიმუში:

პირველ წინადადებაში ერთ შემთხვევაში განსაზღვრება გათიშულია მსაზღვრელისაგან:

ფერი.....ნაზი; მეორე შემთხვევაში წინ უსწრებს მას: **ალანძული ხეების**.

1. ეს რა ფერია მთის კალთაზე ასეთი ნაზი, უცხოდ ელვარებს ალანძული ხეების რიგი.
2. ცა დამაჭრებული მთვარით ივერცხლება, ხეხილის სურნელი დადგა ოთახებში.
3. სული გაფრენილს ედარება, ფერად მიმინოს.
4. შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო, შენგან არასდროს მომესვენება.

5. ერთი პაწია ჩიორა მუხიდან მომესალამა.
6. ღობეზე, შავად თავჩაქინდრული მზესუმზირების მაღლა, ვიღაც სამკუთხად განასკვულ თავსახვევიანი ახალგაზრდა ქალი შემოდგა, ცალი ხელი მაღლა ასწია და მერე ბრაგვანით ჩამოხტა ძირს.
7. წყალუკა თეთრი ხომ არ დასტირის ნეშტთა კეთილთა?
8. დღეში უბედურში იყვნენ როდის არა... ბედკრულნი იმერნი, ბედკრულნი ოდიშარნი, მონანი ღმრთისანი, ყმანი ხონთქრისანი.
9. დედოფალი ვარსკვლავებისა ნისლმა ღამისამ გალაკტიკის მტვერში არია.
10. ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი.
11. წამიერმა ჭირმა, დროებითმა უბედურებამ როგორ უნდა გაუტეხოს გული მორწმუნეს?!
12. სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი.
13. დედოფალი ვარსკვლავებისა ნისლმა ღამისამ გალაქტიკის მტვერში არია.
14. იას უთხარით ტურფასა: მოვა და შეგჭამს ჭიაო.
15. დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა.
16. ხალხის შვილობა ზედ ეწეროს შენს ყოველ ლექსს და შენს ყოველ სტრიქონს.
17. ლურჯი სწყდებოდა კვამლი ბებერ, ლურჯიან ისლებს.
18. აქ კი ყმუოდნენ თეთრი ძაღლები და მოწყენილი იდგა სამრეკლო.
19. მოჩანდა მხოლოდ მწვანე ზურმუხტოვანი დედამიწა და ლურჯი უღრუბლო ცა.
20. ვიღაც დედაკაცი ღობეზე გადმოყუდებული უყურებდა მიმავალ ქალს.

6. გარემოებათა ნაირგვარობა

პარაგრაფის მოზანდასახულობა

- **გავიგებთ: წინადადების რა სახის წევრებს აერთიანებს ტერმინი გ ა რ ე მ ო ე ბ ა;**
- **დავადგენთ: რა და რა სახის გ ა რ ე მ ო ე ბ ა არსებობს ენაში;**
- **გავითვალისწინებთ: რომელ გ ა რ ე მ ო ე ბ ა თ ა გარჩევის დროს იჩენს თავს სიძნელეები.**

გავიხსენოთ:

- ✓ წინა პარაგრაფებში განხილულ მაგალითებს თუ გავითვალისწინებთ, გარემოების ამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს.
- ✓ თქვენი აზრით, როგორ უნდა ამოვიცნოთ წინადადებაში გარემოება? (გაიხსენეთ, რომელ წევრს უკავშირდება და რა ფუნქცია აქვს მას).

ახლა გავეცნოთ შემოთავაზებულ განმარტებებს და შევამოწმოთ ჩვენი დასკვნები:

გ ა რ ე მ ო ე ბ ა წინადადების ისეთი წევრია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ზმნას და რაიმე ნიშნით ახასიათებს მის მიერ გამოხატულ მოქმედებას. მაგ.: **ხვავრიელად** თოვს.



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

გარემოების შინაარსი იმგვარივეა, როგორადაც სიტყვათა კლასების შესწავლის დროს ზ მ ნ ი ზ ე დ ა დავახასიათეთ. გარემოების ფუნქციას ხშირად სწორედ ზმნიზედა ასრულებს. ზმნიზედის მსგავსადვე, კონკრეტული წინადადების ფარგლებში გარემოებაც ფ ო რ მ ა უ ც ვ ლ ე ლ ი ა.

მაგალითებიდან ჩანს, რომ გარემოება თავისი შინაარსით სულ სხვადასხვაგვარად წარმოადგენს ზმნით გამოხატულ მოქმედებას. ის შეიძლება მიუთითებდეს მოქმედების დ რ ო ს ან ა დ გ ი ლ ს, შეიძლება უჩვენებდეს, რ ო გ ო რ ვითარებაში ხდება მოქმედება, შეიძლება ასახავდეს მოქმედების მ ი ზ ე ზ ს ან მ ი ზ ა ნ ს.

ამის მიხედვით გვაქვს:

ა) დ რ ო ი ს გარემოება (დაესმის კითხვა: როდის?):
თამაში **დღეს** სტუმრების გამარჯვებით დასრულდა.

ბ) ა დ გ ი ლ ი ს გარემოება (სად? საიდან? სადამდე?):
ქალაქიდან დაიძრა მანქანების ნაკადი.

გ) ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გარემოება (როგორ?):
ბავშვები **ხმამაღლა** იცინოდნენ.

დ) მ ი ზ ე ზ ი ს გარემოება (რატომ? რის გამო?):
გლეხი **ჯავრისაგან** ატირდა.

ე) მ ი ზ ნ ი ს გარემოება (რისთვის? რა მიზნით?):
მეგობრები **საბანაოდ** წავიდნენ.



ეს გასათვალისწინებელია:

1. ერთი წინადადების ფარგლებში ზმნას შეიძლება ერთდროულად ახლდეს რამდენიმე გარემოება. თუ ეს გარემოებები ერთნაირი შინაარსისაა, მათ შორის მძიმე დაიწერება (მაგ.: **ეზოში, წყაროსთან** ყმაწვილები მოგროვდნენ.); ხოლო თუ გარემოებები სხვადასხვა ჯგუფისაა, მათ შორის სასვენი ნიშანი არ იწერება (მაგ.: **დღეს აქ სწრაფად** შეიკრიბა უბნის ახალგაზრდობა).

2. როგორც დავინახეთ, გარემოების სახეობა კითხვის მეშვეობით უნდა ამოვიცნოთ. ამათგან მეტ დაკვირვებას მოითხოვს მიზეზისა და მიზნის გარემოებათა გამოყენების შემთხვევები, რადგანაც ზოგჯერ ისინი უმართებულოდ ენაცვლება ერთმანეთს. მაგალითად, შეცდომაა: რ ი ს თ ვ ი ს იხდი ბოდიშს?

– რატომ არის შეცდომა?

– იმიტომ, რომ ბოდიშის მოსახდელი ამბავი უკვე მოხდა (ანუ წ ა რ ს უ ლ ი ა) და ის ბოდიშის მ ი ზ ე ზ ი ა (**რატომ?**); მ ი ზ ა ნ ი კი მ ო მ ა ვ ა ლ შ ი მოსახდენ ამბავს გულისხმობს (**რისთვის?**); მაგ.: რ ი ს თ ვ ი ს ამზადებ ზურგჩანთას? (ამ შემთხვევაში შეუფერებელი იქნებოდა „რატომ?“).

თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ მიზეზისა და მიზნის გარემოებების ამოცნობის წესი.

დავალება 1:

გადაიხაზეთ რვეულში მოცემული ცხრილი, ამოკრიბეთ ტექსტებიდან გარემოებათა ნიმუშები და ჩაწერეთ ისინი ცხრილის უჯრებში სათანადო ადგილას:

დროის	ადგილის	ვითარების	მიზეზის	მიზნის

ა)

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა,
იდაყვდაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..

ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას“

ბ)

– ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა! – თავისთვის ლაპარაკობდა სასოწარკვეთილებაში მყოფი უიღბლო მაშვალი. – ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გაძაღლებული ცხოვრებაც! მშიერ, გაღატაკებულ კაცს რავა უნდა ენდო კაცი?! პატიოსნებაც დავიწყებული აქვს და სვინდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგღლიტა, წაგაფცქვნა, მოგატყუა, გაგაცუცურაკა! ყველაფერი დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით. დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გაძაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარ აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს... ღმერთო, ღმერთო! – სასოწარკვეთილებით წამოიძახა უკანასკნელი სიტყვები საბრალო სოლომანმა და მისი გული სიბრალულით აივსო ყოველი ღვთის გაჩენილისა და დაჩაგრულისადმი; ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თავის ჯორისადმიც, რომელიც თუმცა ბევრს ვერაფერს სიამოვნებას ხედავდა ღარიბი პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხანდახან ამხანაგიც იყო და რომელიც აგერ ახლაც თავდაუზოგავად მიაქროლებდა სახლისაკენ თავის ნაღვლიანს, შავუკუღმა ფიქრებში წასულს პატრონსა.

დავით კლდიაშვილი, „სოლომან მორბელაძე“

დავალება 2:

გადაიწერეთ რვეულში წინადადებები და დაამატეთ შესაფერისი – მიზეზის ან მიზნის – გარემოება (რატომ თუ რისთვის?):

1. ..... გაეშალა ქალს სველი თხილი მზის გულზე?
2. ამ წვიმიან ამინდში ..... ჩადიოდა ბიჭი ცარიელ ეზოში?
3. ..... აუკანკალდა მას ნერვიულად ტუჩები?
4. რუსეთში ..... მიდიოდა, თუ სწავლას არ აპირებდა?

5. ..... უნდა იზრუნონ მოწაფეებმა დარჩენილ ერთ თვეს?
6. ..... ჰქონდათ მათ ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა?
7. ასე დილაადრიან ..... მიჰქონდათ ქვაბები მწყემსებს?
8. ..... არ შეეძლო მას შვილების სადმე წაყვანა დასასვენებლად?
9. რას ელოდებოდნენ, ... ლესავდნენ ხმლებს მეომრები?
10. ..... მიჰყავდათ სასიძო ქალის ოჯახში წინასწარ?
11. კათედრის გამგემ თანამშრომლებს ..... ვერ უთხრა უარი წინადადებაზე?
12. ..... არ მწიფდება ყანა თავის დროზე ასეთ ადგილებში?
13. ..... არიდებდა თავს უფროსობას ჯარისკაცი?
14. საკითხავია, ... ვერ ელევიან მშობლიურ სკოლას ღვაწლმოსილი პედაგოგები?
15. ვერ გაეგოთ, ... დაეწყოთ მთქნარება და თვალების წვა საამქროს მუშებს?

დავალება 2:

მოცემულ წინადადებებში მოძებნეთ და გაასწორეთ არასწორად გამოყენებული მიზეზისა და მიზნის გარემოებები:

1. ისე იქცევა, იქნებ ცხვირპირიც დაიმტვრიოს ამისთვის.
2. სწორედ ამ გაუგებრობისთვის არიდებდა ნოე თავს უფროსთან შეხვედრას.
3. თუ სწავლა არ გინდოდა, რატომ შემოდიოდი უნივერსიტეტში?
4. ჭკვიანი ღვინოს იმიტომ სვამს, რომ მოილხინოსო.
5. რადგან გონს ვერ მოუყვანიათ, ამისთვის აჰყარეს იარაღი.
6. თუ არ უჭირდა, რისთვის დატოვა ამ ხალხმა სამშობლო?!
7. კიდევ იმისათვის მიყვარს ზაფხული, რომ ნიავივით თავისუფალი ვარ მაშინ.
8. ენა იმიტომ მოუცია ღმერთს, რომ სიტყვის თქმა არ გაგიჭირდეს.
9. თუ გაქვს გააზრებული, რისთვის განებივრებდა დედა ბავშვობაში?

7. შესიტყვება

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიგებთ: რა და რა სახის სინტაქსური კავშირი არსებობს წინადადების წევრებს შორის;**
- **დავადგენთ, რა არის შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა;**
- **დავაკვირდებით: წინადადების რომელი წევრები უკავშირდებიან ერთმანეთს შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს სახით.**

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

- ✓ თქვენ უკვე იცით, რომ წინადადება სიტყვათა შეერთებით (შეკავშირებით) მიიღება რაღაც აზრის გამოსახატავად.
- ✓ როგორ ფიქრობთ, ეს კავშირი წინადადების წევრ სიტყვებს შორის ნებისმიერია (ანუ – ყოველ სიტყვას ყველა სხვა სიტყვასთან აქვს კავშირი), თუ ეს წევრები რაიმე შეზღუდვით უკავშირდებიან ერთმანეთს?

ახლა წავიკითხოთ პარაგრაფის ტექსტი და შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.

წევრთა კავშირი წინადადებაში შერჩევითია, ანუ წინადადების ნებისმიერი წევრი „ირჩევს“ თავის ერთ ან რამდენიმე მეწყვილეს, მას ყველა წევრთან არა აქვს კავშირი.

მაგალითად, სამსიტყვიან წინადადებაში „გოგონა სურათს ხატავს“ ორი წყვილი იქმნება: **„გოგონა ხატავს“** და **„სურათს ხატავს“** („გოგონა“ და „სურათს“ კი წყვილს არ ქმნის ერთმანეთთან).



თავად სინტაქსური წყვილის წევრებიც არ არიან თანასწორნი. მათგან ერთი წევრი (მეწყვილის „ამრჩევი“) მთავარია, ხოლო მეორე („არჩეული“) – დაქვემდებარებულია. მაგალითად, წყვილში „**მწვანე ფოთოლი**“ მთავარი წევრია **ფოთოლი**, ხოლო **მწვანე** – დაქვემდებარებული (რადგანაც „**ფოთოლი**“ საგანია, ხოლო „**მწვანე**“ მისი თვისება).



შენიშვნა:

შესიტყვება, ჩვეულებისამებრ, ორი წევრისაგან შედგება, ანუ **წყვილია**; მაგრამ ზმნა ამ მხრივაც განსხვავებულია: მასთან შესიტყვებას ერთდროულად ქმნის ყველა შეწყობილი პირი. მაგალითად, მოყვანილი წინადადება („გოგონა სურათს ხატავს“) ერთი **ზმნური შესიტყვებაა**; მისი წევრები კი, როგორც ვნახეთ, დამოუკიდებლად ქმნიან წყვილებს.

დაიმახსოვრეთ!


შესიტყვება არის წინადადების წევრთა თითოეული ასეთი წყვილი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოვაყალიბოთ წინადადების წევრთა დაწყვილების წესები:

1. – მარტივ წინადადებაში, რომელიც მხოლოდ მთავარ წევრებს შეიცავს, **ზმნას** უშუალოდ ეწყვილება მასთან შეწყობილი თითოეული პირი (**სუბიექტ-ობიექტები**); მაგრამ ამ პირებს ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ.

– **ზმნას** ასევე უშუალოდ ეწყვილება **დამატება**.

მარტივი წინადადების ზემოთ მოყვანილი სქემა არსებითად ამას ასახავს:



წ ყ ვ ი ლ ე ბ ი:

ესროლა მშვილდოსანმა
ესროლა სამიზნეს (უსროლია სამიზნისთვის)
ესროლა ისარი

2. თუკი მთავარი და არამთავარი წევრების უკვე მოყვანილ სქემას (იხ. მე-5 პარაგრაფი) გამოვიყენებთ, დავინახავთ, რომ არამთავარი წევრები მხოლოდ იმ მთავარ წევრებთან ქმნიან შესიტყვებას, რომელთაც ისინი მიემართებიან. დააკვირდით:

ესროლა	მშვილდოსანმა	ისარი	სამიზნეს
შემდეგ	მეორე	ბოლო	გადახრილ

წ ყ ვ ი ლ ე ბ ი:

შემდეგ ესროლა
მეორე მშვილდოსანმა
ბოლო ისარი
გადახრილ სამიზნეს

შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა თ ა შეერთებული სურათი:

ესროლა მშვილდოსანმა
ესროლა ისარი
ესროლა სამიზნეს
შემდეგ ესროლა
მეორე მშვილდოსანმა
ბოლო ისარი
გადახრილ სამიზნეს

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მთავარ და არამთავარ წევრთა დაწყვილებისას კარგად ჩანს, რომელია მათგან მთავარი და რომელი – დაქვემდებარებული.



დაიმახსოვრეთ!

მოსალოდნელ წყვილთა რაოდენობას ანგარიშობენ წინადადების სრულმნიშვნელოვან წევრთა გათვალისწინებით: წევრთა დაწყვილების შემდეგ იმდენი შესიტყვება (წყვილი) უნდა მივიღოთ, რამდენი სრულმნიშვნელოვანი წევრიც არსებობს წინადადებაში, ერთის გამოკლებით.

ეს გასათვალისწინებელია:

თუ წინადადებაში ერთნაირი წევრები შეგვხვდა, მთავარ წევრს ისინი შეიძლება ერთდროულად დავუწყვილოთ.

მაგალითად, წინადადებაში „დასრულდა მშფოთვარე და ხალისიანი არდადეგები“ შეიძლება ორი წყვილი გამოვყოთ:

ა) **დასრულდა არდადეგები**

ბ) **მშფოთვარე და ხალისიანი არდადეგები**

თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ წინადადების წევრთა დაწყვილების წესები შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

- ✓ როგორ წყვილდებიან წევრები მარტივ წინადადებაში, რომელიც მხოლოდ მთავარ წევრებს შეიცავს?
- ✓ რომელ წევრებთან ქმნიან შესიტყვებას წინადადების არამთავარი წევრები?

დავალება 1:

შეადგინეთ და რვეულში ჩაიწერეთ წყვილები (შესიტყვებები) შემდეგი მთავარი და არამთავარი წევრებისაგან:

1

ბიჭები	პაპას	ყანას	უთოხნიან
დღეს	ყოჩაღი	მოხუც	ნორჩ

2

ბავშვები	დედას	ხელებს	უშვერდნენ
უმწეოდ	მეზობელი	ჩემს	პაწია

3

დამ	ძმას	კვერები	შეუნახა
დილისთვის	პატარა	უმცროს	ტკბილი

4

ლეკვები	პატრონს	ლუკმას	სთხოვდნენ
წკმუტუნით	უსუსური	დაბნეულ	თითო

5

გოგონებმა	მამას	ოთახი	დაულაგეს
კოხტად	კუდრაჭა	ბუზღუნა	სამუშაო

დავალება 2:

შეადგინეთ და რვეულში ჩაიწერეთ შესიტყვებები შემდეგი წინადადებების მიხედვით:

1. ქალაქის აივნებს ფერადი ყვავილები ამშვენებდა.
2. ახალ მუშებს უშველებელი ლოდი ამოეტანათ ხევიდან.
3. ცალი თვალის ქვემო ქუთუთო რაღაც სნეულებას ამოეჭამა ულმობლად.
4. ძველი თაობა მხოლოდ რჩეული მწერლების ხელნაწერებს კითხულობდა.
5. ჩამავალი მზე უკანასკნელ სხივებს ესროდა გახრიოკებულ მთას.
6. მოულოდნელად მოპირდაპირე ოთახში ვეება სარკეს მოჰკრა თვალი.
7. უზარმაზარი კალიებივით ხტოდნენ კედლებზე ჩვენი ლანდები.
8. შავი ზღვის ქარმა ახვეტა დაბალი ღრუბლის ზვირთები.
9. მან გზაჯვარედინზე დადგმულ უზარმაზარ მრგვალ სარკეში ახალგაზრდები შენიშნა.
10. წვიმამ სიცოცხლის ნიშანწყალი დაუბრუნა გადახრუკულ მინდვრებს.
11. ღამის ბინდში გატრუნულ სახლებს აფხიზლებს ახალი ქარიშხლის ხმები.
12. ჩვენი კავშირი ახლა იწყებს დიდებული ბინის მშენებლობას.
13. დამტვერილი ჭადრების მწკრივიც თანაბრად იდგა ყველა კარებთან.
14. აქა-იქ ბჟუტავდა მაღალ ბოძებზე დაკიდული პატარა ნათურები.
15. ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოდ ოთხ კლასამდე ასწავლიდა.
16. მოხუცი ღმერთის აქ ნათქვამ ლოცვებს სამრეკლო ღამე იმეორებდა.
17. მეორე ოთახიდან მოისმოდა ჩქარი ნაბიჯით მომავალი კაცის ფეხის ხმა.
18. ამ დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას.
19. ხალხი დიდი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ამ წიგნის გმირთა ფათერაკიან თავგადასავალს.
20. ამ ბილიკზე წყლით სავსე ჭურჭლებით ვერ ამოვიდა ეს ქალიშვილი.

8. შესიტყვებათა სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **დავაკვირდეთ: რა განსხვავებაა შესიტყვებათა ცალკეულ სახეებს შორის;**
- **დავადგინოთ: რა შემთხვევაში გვაქვს შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა შესიტყვების ორ წევრს შორის;**
- **რა არის მ ა რ თ ვ ა;**
- **წინადადების წევრთა რა სახის კავშირია მ ი რ თ ვ ა.**

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

დავუბრუნდეთ ნაცნობ შესიტყვებებს: „**ესროლა სამიზნეს**“ და „**ბასრი ისარი**“.


- შეიცვლება თუ არა დაქვემდებარებული წევრის ფორმა, თუკი მთავარი წევრი ფორმას შეიცვლის (მაგ.: **უსვრია** [.....], **ბასრმა** [.....])?

წავიკითხოთ პარაგრაფის ტექსტი და გავიაზროთ, რა განსხვავებაა შესიტყვებათა სახეებს შორის.

თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა, ანუ წინადადების წევრთა შორის კავშირი, ერთგვაროვანი არ არის; ზოგჯერ ის ფორმალურად (გრამატიკულად) აშკარად არის გამოხატული, ზოგ შემთხვევაში კი ეს კავშირი მხოლოდ შინაარსობრივი ჩანს (ფორმის ცვლის გარეშე). ამის მიხედვით ვადგენთ სიტყვათა სინტაქსური კავშირის სამ სახეს: შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს, მ ა რ თ ვ ა ს ა და მ ი რ თ ვ ა ს. ამ კავშირთა ზოგადი წესებია:

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა შესიტყვების წევრებს შორის გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მათგან მთავარი წევრი (მაგალითში ის გამუქებულია) „აიძულებს“ დაქვემდებარებულ წევრს, მიიღოს იგივე ფორმა (სრულად ან ნაწილობრივ), რაც თვითონ აქვს. მაგალითად, მთავარი წევრი დაქვემდებარებულს ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს ბრუნვაში:

მაღალ-**ი** **სახლ-ი**
მაღალ-**მა** **სახლ-მა**
მაღალ-(**ს**) **სახლ-ს** და ა.შ.



მ ა რ თ ვ ა არის წინადადების წევრთა ისეთი კავშირი, როდესაც მთავარი წევრი „აიძულებს“ დაქვემდებარებულს, მიიღოს გარკვეული ფორმა, ოღონდ არა ის, რომელიც თვითონ აქვს. მაგალითად, ზმნა შეწყობილ სახელს უცვლის ბრუნვას, რაც თვითონ არა აქვს:

ბიჭ-**ი იცინის**
ბიჭ-**მა გაიცინა**

მ ი რ თ ვ ა არის სინტაქსური კავშირის ის შემთხვევა, როდესაც ძირითადი წევრი ფორმას ვერ უცვლის დაქვემდებარებულ წევრს, ეს უკანასკნელი მხოლოდ აზრობრივად (ფორმაუცვლელად) უკავშირდება ძირითად წევრს. მაგალითად:

ხვალ **მოვალ**
ცოტა **დათბა**

ამ წესების მიხედვით დავახასიათოთ წინადადების წევრთა (წყვილთა) სინტაქსური ურთიერთმიმართება:

1. **ზმნა** მ ა რ თ ა ვ ს **სუბიექტსა** და **ობიექტებს** (აგრეთვე – **დამატებას**) ბ რ უ ნ ვ ა შ ი და

2. **სუბიექტ-ობიექტები** მ ა რ თ ა ვ ე ნ **ზმნას** პ ი რ შ ი.

3. ასევე: **სუბიექტ-ობიექტები** ითანხმებენ **ზმნას** რ ი ც ხ ვ შ ი.

4. **ზმნა** მ ი რ თ ვ ი ს წესით (აზრობრივად) იკავშირებს **გარემოებას**.

5. **განსაზღვრება** შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს წესით უკავშირდება შესაბამის **საზღვრულს** (სუბიექტს, ობიექტებს, დამატებას...), ანუ: წინადადების **საზღვრული წევრი** ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს **განსაზღვრებას** (მსაზღვრელს) ბ რ უ ნ ვ ა ს ა და რ ი ც ხ ვ შ ი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

შეთანხმება მსაზღვრელის ფუძის გათვალისწინებით შეიძლება იყოს სამგვარი - **ს რ უ ლ ი**, **ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი** ან **ნ უ ლ ო ვ ა ნ ი**. ამისათვის გავიხსენოთ ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად:

- ✓ ფუძეთანხმოვნიანი ზედსართავი (მსაზღვრელი) სრულად ეთანხმება არსებითს (საზღვრულს) სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში: ახალ-**ი** სახლ-**ი**, ახალ-**მა** სახლ-**მა**, ახალ-**ო** სახლ-**ო**.
- ✓ ნაწილობრივ ეთანხმება ნათესაობითსა და მოქმედებითში: ახალ-**ი** სახლ-**ის**, ახალ-**ი** სახლ-**ით**;
- ✓ ხოლო ნულოვანი შეთანხმებაა წინამავალი ფუძეხმოვნიანი საზღვრელის შემთხვევაში: პატარა სახლ-**ი**, პატარა სახლ-**მა** და ა.შ. (ამათი შეთანხმება


გამოჩნდება, თუ მსაზღვრელ-საზღვრულს ადგილებს შევუცვლით: სახლ-**მა** პატარა-**მ**, სახლ-**ს** პატარა-**ს** და ა.შ.

6. ამ თვალსაზრისით თავისებურია ე.წ. სუბსტანტიური მსაზღვრელი (**ძმის სახლი**); ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ **საზღვრული** მართავს **მსაზღვრელს** ნათესაობით ბრუნვაში; მაგრამ დამატებით ითანხმებს კიდეც მას, რაც კარგად ჩანს მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებულ წყობაში: სახლ-**მა** ძმისა-**მ**.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში, გავიმეოროთ არსებითი და ზედსართავი სახელების ერთად ბრუნების მაგალითები.

შევაჯამოთ ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია გამარტივებული სქემის სახით:



ამ სქემის მიხედვით შეგიძლიათ შეადგინოთ შეთანხმების, მართვისა და მირთვის მოკლე განმარტებები.

დავალება 1:

გადაიხაზეთ რვეულში ცხრილი და ჩაწერეთ მოცემული შესიტყვებები შეთანხმების, მართვისა და მირთვის შესატყვის უჯრებში:

ძველი გზის, აქედან იწყება, სახლს არემონტებს, თეთრი ნარმით, დღეს იწვიმებს, საწერი მაგიდა, მაღალმა კარებმა, ცხენი შეკაზმეს, თავს დაიცავს, შარშანდელი თოვლივით, სად გაჩნდა, საზღვაო ბრძოლა, ათასმა წვრილმანმა, გვერდს აუვლის, საფუძვლიანად იკვლევს, სიხარულს ვერ ფარავს, აქეთ მოიხედე, მალე მთავრდება, ქალები დაასაჩუქრეს, მძლავრი ხმაურით, წამოიშალა ჯარი, მეორედ ჩამოვედი, ჩაი მომიტანეთ, მეორე ღამეს, შეპასუხება გაუბედეს, წკრიალა ნაკადულიდან, სავარძელში მოკალათდა, ახალი ნაცნობისაგან, ღმერთს შესთხოვეს, აბეზარი ბუზების, პირველად გაგონილი, ფრთხილი ნაბიჯით, რატომ იყურება, გვერდით ჩამიარა...

შეთანხმება	მართვა	მირთვა

დავალება 2:

შეადგინეთ და ჩაიწერეთ რვეულში შესიტყვებები მოცემული წინადადებების მიხედვით. განსაზღვრეთ, რომელია მათგან შეთანხმებული და რომელი – მართული და მირთული:

ნ ი მ უ შ ი: 1. ძველად მართავდნენ – მ ი რ თ ვ ა.

1. ძველად საქართველოში ხარების ბრძოლასაც მართავდნენ.
2. ასფალტზე პატარა გუბეებში ლამპიონების შუქის ანარეკლი ციმციმებდა.
3. ოქროსფერი გუმბათი თითქოს ბუნებრივად ამოზრდილიყო მაღალი მთიდან.
4. სირცხვილნაჭამმა სულთანმა მოჰკურცხლა თავისი ამალით.
5. იმ ღამეს დაღლილმა მგზავრებმა ცეცხლს მიუფიცხეს სველი ტანსაცმელი.
6. გუნებაწამხდარი გლეხები თავიანთ ნაცოდვილარ ყანებს დაუბრუნდნენ.
7. ქუჩებში გამოფენილმა მოსახლეობამ ბედნიერ მეფეს დიდი ქება უძღვნა.
8. ბნელ ოთახს მოსაწყენი მონოტონური კაკუნი აყრუებდა.
9. ამ ქვებზე პოეტმა დანით ამოკაწრა თავისი სევდიანი ლექსები.
10. ნარიყალის ძველი ბურჯები უამრავ ლეგენდას ინახავს თავის დახავსებულ ნანგრევებში.

დავალება 3:

სცადეთ აღადგინოთ შვიდი მარტივი წინადადება წარმოდგენილი შესიტყვებების მიხედვით:

1. პორტში გამოჩნდა. გამოჩნდა კაცი. ახალგაზრდა კაცი. მეზღვაურის ტანსაცმელში. ტანსაცმელში გამოწყობილი. გამოწყობილი კაცი.
2. ბიჭს გადაეხვია. ხელი გადაეხვია. ცხენისთვის გადაეხვია. თავისი ცხენისთვის. მარჯვენა ხელი.
3. ხალხი ადევნებდა. ადევნებდა თვალყურს. გაფაციცებით ადევნებდა. დიდი გაფაციცებით. ადევნებდა წიგნში. ამ წიგნში. გმირთა თავგადასავალს. ფათერაკიან თავგადასავალს.
4. აქა-იქ ბჟუტავდა. ბჟუტავდა ნათურები. მაღალ ბოძებზე. ბოძებზე დაკიდული. დაკიდული ნათურები. პატარა ნათურები.
5. წყალმა დაუბრუნა. ნიშანწყალი დაუბრუნა. სიცოცხლის ნიშანწყალი. დაუბრუნა მცენარეებს. დახრუკულ მცენარეებს. გვალვისაგან დახრუკულ.
6. ღამის ბინდში. ბინდში გატრუნულ. გატრუნულ სახლებს. სახლებს აფხიზლებს. აფხიზლებს ხმები. ქარიშხლის ხმები. ახალი ქარიშხლის.
7. სერგომ მოჰკრა. მოულოდნელად მოჰკრა. მოჰკრა თვალი. მოჰკრა [თვალი] ინფორმაციას. დაბეჭდილ ინფორმაციას. გაზეთში დაბეჭდილ. ახალ გაზეთში.

9. მარტივი წინადადების ტიპები

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიგებთ: რა სახის წინადადებაა სრული და, შესაბამისად, რა შემთხვევაში მივიჩნევთ წინადადებას უსრულად;**
- **გავიაზრებთ: როგორ ხდება წინადადების გავრცობა და რა შემთხვევაში იქნება წინადადება გავრცობილი (ან – გაუვრცობელი);**
- **დავადგენთ: რა მიმართებაა წინადადების გავრცობასა და მის სრულობა-უსრულობას შორის.**



გავიხსენოთ:

უკვე ითქვა, რომ წინადადება, რომელიც მხოლოდ ზმნასა და მასთან შეწყობილ პირებს შეიცავს, არის სრულყოფილი წინადადება, ანუ წინადადება, რომელსაც არ აკლია რაიმე წევრი. ზმნა და მასთან შეწყობილი პირები კი წინადადების მთავარი წევრებია.

- ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით როგორ ჩამოაყალიბებდით სრული და უსრული წინადადებების განსაზღვრებას?

ახლა წავიკითხოთ პარაგრაფის პირველი ნაწილი და შევამოწმოთ ჩვენი პასუხები:

I. სრული და უსრული წინადადება

შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ სრულია წინადადება, რომელიც ყველა მთავარ წევრს შეიცავს. შესაბამისად, სრულია ჩვენ მიერ ჩამოთვლილი, ზმნის პირიანობის საფუძველზე შედგენილი მარტივი წინადადებები:

1. წვიმს.
2. ბიჭი ოცნებობს.
3. მოსწავლე ლექსს იზეპირებს.
4. გოგონამ ბიჭს წიგნი ათხოვა.

სხვაგვარად: ეს წინადადებები სრულია, რადგან მათ არცერთი მთავარი წევრი არ აკლიათ.

ამის გათვალისწინებით, უსრულია წინადადება, რომელსაც რომელიმე (ერთი ან რამდენიმე) მთავარი წევრი აკლია.

მაგალითად, თუ ავიღებთ წინადადებას – „უმცროსმა

გზა დაუთმო“, დავინახავთ, რომ ამ წინადადებას ზმნის პირიანობის მიხედვით (დაუთმო **მან მას ის**) ერთი წევრი აკლია (კერძოდ, ირიბი ობიექტი „**მას**“); ანუ ეს წინადადება უ ს რ უ ლ ი ა.

უსრული წინადადებები ხშირად გვხვდება მხატვრულ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით – დიალოგების გადმოცემისას. მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძე თავის მოურავს ეკითხება:



– მეზვრემ მწვანილი მოიტანა?
– მოიტანა. – ჰპასუხობს მოურავი.

თუ ზმნას პირებს შევუწყობთ, დავინახავთ, რომ პირველი წინადადება სრულია, მეორე კი – უსრული (სუბიექტიც აკლია და ობიექტიც).

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

ეს წინადადებაც რომ სრული ყოფილიყო, დიალოგი არაბუნებრივი გამოვიდოდა:
- მეზვრემ მწვანილი მოიტანა?
- მეზვრემ მწვანილი მოიტანა.

ე. ი. უსრული წინადადების გამოყენებას ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ უ რ ი დანიშნულება აქვს. ამისი მაგალითები შეგიძლიათ ტექსტებში მრავლად მოიძიოთ.

პარაგრაფის II ნაწილის გაცნობამდე შევეცადოთ პასუხი გავცეთ კითხვას:

- ✓ სრული და უსრული წინადადებების განმარტებებს თუ გავითვალისწინებთ, როგორ შეიძლება განვსაზღვროთ გაუვრცობელი ან გავრცობილი წინადადება?

ახლა წავიკითხოთ პარაგრაფის მეორე ნაწილი და შევამოწმოთ ჩვენი პასუხები.



II. გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება

ავიღოთ მარტივი წინადადების ის სახე, რომელშიც მხოლოდ მთავარი წევრები გვაქვს:

გიორგიმ მეგობარს ჩოგანი ათხოვა.

სწორედ ასეთი წინადადება არის გაუვრცობელი.

ანუ გაუვრცობელი წინადადება ემთხვევა სრულყოფილ სრულ წინადადებას.

როგორც კი ასეთ წინადადებაში თუნდაც ერთი არამთავარი წევრი გაჩნდება, წინადადება გავრცობილი ხდება.

ე.ი. არამთავარი წევრის არსებობა განაპირობებს წინადადების გავრცობას. მაგ.:

გუშინ გიორგიმ მეგობარს ჩოგანი ათხოვა.

შეადარეთ ეს წინადადება ამოსავალ წინადადებას და დაადგინეთ, რომელმა არამთავარმა წევრმა განაპირობა მისი გავრცობა.

ერთსა და იმავე წინადადებას შეიძლება მრავალგვარი გავრცობილი სახე ჰქონდეს, რადგანაც წინადადებაში არამთავარი წევრების რაოდენობა გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ა.



შევაჯამოთ ზემოთ თქმული:

რაკი მარტივი წინადადების ოთხივე ტიპს გავეცანით, შეიძლება შევაჯამოთ ნათქვამი და დასკვნაც გამოვიტანოთ:

1. წინადადების რომელი წევრების ქონა-არქონაზე ყოფილა დამოკიდებული მისი ს რ უ ლ ო ბ ა ან უ ს რ უ ლ ო ბ ა?
2. წინადადების რომელი წევრების ქონა-არქონაზე ყოფილა დამოკიდებული მისი გ ა უ ვ რ ც ო ბ ლ ო ბ ა ან გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ო ბ ა?



დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

რომელია შემდეგ დებულებათაგან მართებული და რომელი არა:

ა) გაუვრცობელი წინადადება შეიძლება იყოს სრულიც და უსრულიც.
ბ) სრული წინადადება შეიძლება იყოს გავრცობილიც და გაუვრცობელიც.
გ) უსრული წინადადება არ შეიძლება იყოს გავრცობილი.



დავალება 1:

გადაიწერეთ რვეულში და გაავრცეთ მოცემული წინადადებები ერთი ან რამდენიმე წევრის დამატებით:

1 ტყემ მოისხა ფოთოლი. 2 ჩვენც დავახმარეთ ბიჭები ბარნაბას. 3 ბიჭებმა მოხუცს ნავი გამოუთრიეს. 4 მონადირეებმა ხოხობს ქორი დაადევნეს. 5 დებმა სტუმარს ვახშამი გაუმართეს. 6 ნახევარმცველმა ბურთი თავდამსხმელს გადააწოდა. 7 ქალები მხედრებს საგზალს აწვდიდნენ. 8 კობამ პურს ყუა მოატეხა. 9 ჩვენ ღვინოს გემო გავუსინჯეთ. 10 მღვდელმა ხალხს ყველაფერი მოახსენა. 11 ღვინომ სტუმარს ლაპარაკი დააწყებინა. 12 დედაკაცმა ნაკვერცხლებს ნაცარი გადააცალა. 13 ვაჟამ დამსწრეთ ლექსები წაუკითხა. 14 ჯგუფებმა შეწყვიტეს ერთმანეთთან საუბარი. 15 ქალს თვალები ცრემლმა დაუსველა.

დავალება 2:

გადაიწერეთ რვეულში მოცემული დიალოგები და თითოეულ უსრულ წინადადებაში აღადგინეთ დაკლებული წევრები.

I.

– ბიჭო, ეს რა დამმართია!
– დაჭრილი ხარ, შვილო.
– სადა ვარ?
– ჩემთან, სენაკში...
– წყალი...
– ა, შვილო.
– გმადლობთ, რამდენი ხანია დამჭრეს?
– სამი დღეა.
– აბა, გამხსენი.
– მე თვითონ ვაპირებდი ეს-ეს არის.

ნიკო ლორთქიფანიძე, „ბუმბერაზი“

II.

საიდანღაც გაჩნდა გიორგი.
– ვერ მიცანი?
– როგორ არა... დავაჟკაცებულხარ კი! აქ როგორ მოხვდი?
– სახლში გახლდი. ახლა ისევ ვბრუნდები თბილისში.
– მუშაობ აქ?
– დიახ, რკინის გზაზე.
– როგორ მოეწყვე?
– ასე...
– იქნებ მომიხერხო და მეც წამიყვანო საბარგო მატარებლით.
– ახლავე გავიგებ და მოგახსენებ.

ნიკო ლორთქიფანიძე, „ტლუ ბიჭი“

III.

– წაიკითხეთ?
– ჯერ არა.
– იქნებ არა გაქვთ?
– არა, არა მაქვს.
– შეიძლება გაჩუქოთ?
– დიდად მადლობელი ვიქნებოდი.
– როდის მოგართვათ?
– ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხდებით!
– ოდნავადაც არ შევწუხდები!

გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“

10. შერწყმული წინადადება

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- გავიგებთ: რა სახის სინტაქსურ ცვლილებას გამოხატავს შ ე რ წ ყ მ ა და რატომ მიმართავს ენა წინადადებების შერწყმის ხერხს;
- განვსაზღვრავთ: რა ტიპის შ ე რ წ ყ მ უ ლ ი წინადადებები შეიძლება შეგვხვდეს ენაში;
- გავარკვევთ: რა სირთულეებს ვაწყდებით შ ე რ წ ყ მ უ ლ ი წინადადების წერილობით გადმოცემისას;
- დავადგენთ: რა არის გ ა ნ მ ა ზ ო გ ა დ ე ბ ე ლ ი სიტყვა და რა როლს ასრულებს ის შერწყმულ წინადადებაში.

დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ:

- ✓ როგორ ფიქრობთ, რა არის წინადადებების შერწყმა?
- ✓ როგორ შეიძლება შეერწყას ერთმანეთს, ანუ ერთ წინადადებად გაერთიანდეს შემდეგი წინადადებები:

ა) მონადირეები **ტყეს** გაჰყურებდნენ.
ბ) მონადირეები **მდინარეს** გაჰყურებდნენ.




ახლა წავიკითხოთ პარაგრაფის I ნაწილი და შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდები.

I. შერწყმა და მისი ნაირსახეობანი

შ ე რ წ ყ მ ა არის ისეთი სინტაქსური მოვლენა, რომლის დროსაც ორი (ან მეტი) მარტივი წინადადება ერთ წინადადებად არის შეერთებული (შერწყმული).

შეიძლება ეს მოვლენა (შერწყმა) თქვენთვის ნაცნობ „წილადების გაერთმნიშვნელიანებას“ შევადაროთ: შერწყმა გრამატიკაში ისეთივე პროცესია, როგორიც გაერთმნიშვნელიანება – მათემატიკაში.

სრულიად აშკარაა, რომ ზემოთ დამოწმებულ წინადადებებში ერთი და იგივე წევრები მეორდება, ამიტომაც ჩნდება „გაერთმნიშვნელიანების“, ანუ აზრის უფრო ეკონომიურად გადმოცემის აუცილებლობა:



ამგვარად, ენა შ ე რ წ ყ მ ა ს მიმართავს გამოხატვის ეკონომიისა და ფრაზის გამართულობის მიზნით. შ ე რ წ ყ მ უ ლ ი ა წინადადება, რომელიც ორ ან მეტ ე რ თ გ ვ ა რ (ერთსა და იმავე) წევრს შეიცავს.

ე რ თ გ ვ ა რ ი ა წინადადების წევრები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთნაირად მიემართებიან ამავე წინადადების ერთსა და იმავე წევრს; კერძოდ, ერთგვარია:

ა) სუბიექტები შესაბამისი ზმნის მიმართ (ან პირიქით – ზმნები შესაბამისი სუბიექტის მიმართ);
ბ) პირდაპირი ობიექტები – ზმნის მიმართ;
გ) ირიბი ობიექტები – ზმნის მიმართ;
დ) დამატებები – ზმნის მიმართ;
ე) განსაზღვრებები – სუბიექტის ან რომელიმე ობიექტის მიმართ;
ვ) ადგილის გარემოებები – ზმნის მიმართ;
ზ) დროის (ვითარების, მიზეზის, მიზნის) გარემოებები – ზმნის მიმართ.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

თოვლმა, **ყინვამ** და **ქარმა** დააზარალა მეურნეობა.

მისამართ წევრთან ერთგვარი წევრების მიმართების სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

თოვლმა		
ყინვამ	**დააზარალა**	მეურნეობა
ქარმა		

როგორც ხედავთ, ამ წინადადებაში სუბიექტი სამია, მაგრამ ისინი ისე მიემართებიან ზმნას, როგორც ერთი წევრი.

ვიმსჯელოთ ერთად:

ამგვარად, დაისმის კითხვა: მარტივია შერწყმული წინადადება თუ რთული? შეგვიძლია ვეძებოთ ამ კითხვის პასუხი:

- ✓ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთგვარი წევრები სინტაქსურად ერთ წევრს უდრის, შერწყმული წინადადება შეიძლება მივიჩნიოთ მარტივი წინადადების ქვესახეობად.
- ✓ მაგრამ თუ გავითვალისწინეთ შერწყმული წინადადების წარმომავლობა (ორი ან მეტი მარტივი წინადადების შერწყმა), მაშინ ის შეიძლება რთულ წინადადებებს დავუკავშიროთ.



- ✓ ამას განსაკუთრებით გვაფიქრებინებს ზმნების მიხედვით შერწყმული წინადადება, რადგანაც ის ძნელად გაირჩევა რთული თანწყობილი წინადადებისაგან, ფაქტობრივ, მისი ერთგვარი სახეა. მაგალითად:

ავი **ძაღლი** არც თვითონ **ჭამს**, არც სხვას აჭმევსო.

რამდენგვარი შეიძლება იყოს შერწყმული წინადადება?

იმდენგვარი, რამდენგვარიც არსებობს წინადადების წევრი; კერძოდ:

1. ზ მ ნ ე ბ ი ს მიხედვით შერწყმული:
ბიჭმა მტევანი მოწყვიტა და შეჭამა.

2. ს უ ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ს მიხედვით შერწყმული:
პაპა და ბებია შვილიშვილს **ელიან**.

3. პ ი რ დ ა პ ი რ ი ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ს მიხედვით შერწყმული:
გვალვამ **გადაწვა** ყანა და ბოსტანი.

4. ი რ ი ბ ი ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ს მიხედვით შერწყმული:
დამიძახეთ ნაცნობსა და უცნობს.

5. დ ა მ ა ტ ე ბ ა თ ა მიხედვით შერწყმული:
უნდოდა **დახმარება გაეწია** გაჭირვებულისა და დავრდომილისათვის.

6. გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ე ბ ი ს მიხედვით შერწყმული:
ცივი და ქარიანი **დილა** გათენდა.

7. გ ა რ ე მ ო ე ბ ა თ ა მიხედვით შერწყმული:

ა) ა დ გ ი ლ ი ს გარემოებათა მიხედვით შერწყმული:
სიდუხჭირე **სუფევს** სოფელსა თუ ქალაქში.

ბ) დ რ ო ი ს გარემოებათა მიხედვით და სხვ.
დღეს და ხვალ წვიმიანი ამინდი **იქნება**.

ცხადია, შეიძლება არსებობდეს შ ე რ ე უ ლ ი სახის შერწყმული წინადადებაც, რომელშიც ერთდროულად გვაქვს ერთგვაროვან წევრთა ორი ან მეტი ჯგუფი; მაგ.:

ადის და ჩადის მთათ მკერდი წითლად, ყვითლად და მწვანედა (ვაჟა).

დაიმახსოვრეთ!

ა) თუკი ობიექტური პირები, განსაზღვრებები ან გარემოებები ერთი რიგისა არ არის, მათ ერთგვარ წევრებს ვერ ვუწოდებთ, ანუ ასეთი წინადადება შერწყმული არ იქნება. მაგ., წინადადება „დ ღ ე ს ს ო ფ ე ლ შ ი მივდივარ“ შერწყმული არ არის, რადგან პირველი გარემოება დროისაა, მეორე კი – ადგილისა.

ბ) სხვადასხვა კატეგორიის განსაზღვრებები და გარემოებები, როგორც ხედავთ, ერთმანეთისაგან მძიმით არ გამოიყოფა.

II. შერწყმული წინადადების წერილობითი გადმოცემისათვის

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრები ან მძიმეებით არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი, ან **„და“** კავშირით არის შეერთებული. თუ ერთგვარი წევრი ორზე მეტია, ჩვეულებისამებრ, ორივე ეს საშუალება არის გამოყენებული:

გიომ, ნიკომ, გიგლამ **და** კოკომ სათევზაოდ წასვლა გადაწყვიტეს.



რადგანაც ერთგვარი წევრები სიტყვების ჩამონათვალს გულისხმობს, ბუნებრივია, ორწერტილის გამოყენების საკითხი დაისმის. ორწერტილის (ან სხვა გამყოფი ნიშნის) გამოყენება კი დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა წინადადებაში განმაზოგადებელი სიტყვა.

რა არის განმაზოგადებელი სიტყვა?

განმაზოგადებელია სიტყვა, რომელიც წინ უძღვის (ან – მოსდევს) ერთგვარ წევრებს და მათ აზრობრივად აერთიანებს (ყველას ერთად გულისხმობს). მაგალითად, **ყვავილები** განმაზოგადებელი სიტყვაა მათი ცალკეული სახელებისა (ია, ენძელა, ზამბახი, ყოჩივარდა...), რადგან თითოეულ მათგანს გულისხმობს.

დააკვირდით სასვენი ნიშნების გამოყენების მაგალითებს შერწყმულ წინადადებაში. რომელ მათგანში გვხვდება განმაზოგადებელი სიტყვა? რომელია ეს სიტყვა?

1. ამოვიდა ია, ენძელა, ზამბახი, ყოჩივარდა.
2. ამოვიდა ყველა ყვავილი: ია, ენძელა, ზამბახი.
3. ია, ენძელა, ზამბახი, ყოჩივარდა – ყველა ყვავილი ამოვიდა.
4. ყველა ყვავილი – ია, ენძელა, ზამბახი... – ამოვიდა და მინდორი ააფერადა.

დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ:

წინამავალ მაგალითებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ შერწყმულ წინადადებაში სასვენი ნიშნების გამოყენების წესები:

- ✓ გამოიყენება თუ არა ორწერტილი შერწყმულ წინადადებაში, რომელშიც განმაზოგადებელი სიტყვა არ არის?
- ✓ სად დაისმის ორწერტილი წინადადებაში, თუ განმაზოგადებელი სიტყვა წინ უსწრებს ერთგვარ წევრებს?
- ✓ რა სასვენ ნიშანს ვიყენებთ შერწყმულ წინადადებაში განმაზოგადებელი სიტყვის წინ, თუ განმაზოგადებელი სიტყვა მოსდევს ერთგვარ წევრებს?
- ✓ რა სასვენ ნიშანს ვიყენებთ შერწყმულ წინადადებაში, თუ განმაზოგადებელი სიტყვა წინ უსწრებს ერთგვარ წევრებს, მაგრამ წინადადება ამ წევრების ჩამონათვალით არ მთავრდება?

დაიმახსოვრეთ!

1. არ არის მართებული ასეთ შემთხვევაში ორწერტილის გამოყენება:
ყველა ყვავილი: ია, ენძელა, ზამბახი ერთად ამოვიდა.

2. შერწყმული წინადადების თავისებურ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ წინადადების ერთ-ერთ ნაწილში გამეორებული წევრის გამოტოვების შემთხვევები. გამოტოვებული წევრის ადგილას დაისმის ტირე. მაგ.:
ია გუშინ ამოვიდა, ენძელა – დღეს.

დავალება 1:

გადაწერეთ რვეულში და მოძებნეთ წინადადებებში ერთგვარი წევრები, მიუთითეთ, რა სახისაა შერწყმული წინადადება (გაითვალისწინეთ, რომ ერთ წინადადებაში შესაძლებელია ერთგვარი წევრების ორი რიგიც იყოს):

1. ფირუზის, იაგუნდის, მარგალიტის, ლალისა და ქარვის მარცვლებიდან ხან ჯვარს, ხან ფარღულს დააწყობდა.
2. ცოცხლად დავიმახსოვრე ყოველი წვრილმანი, მიხრა-მოხრა, მთელი სურათი.
3. ცხენს ლაგამი, სამკერდე, საძუე შავი ჰქონდა.
4. შევარდენი ჩემზე მეტად გიყვარდათ და გასიამოვნებდათ, ყაბალახ-ნაბადი ათასწილათ ჩემზე მეტად ღირდა.
5. თმა-წვერი, ულვაში ერთმანეთში მქონდა არეული.
6. ბრბოს ეს სიტყვები აკვირვებდა, აცინებდა და თან მალამოდ ხვდებოდა დაბეჩავებულ გულზე.
7. შენი საქციელი არ შორდებოდა გონებას, შენი სახე – ჩემს ოცნებას.
8. რაღაც პატარა ფუთას ორკეცად კანაფის თოკი გადაუჭირა და უბეში წვალებით ჩაიდო.
9. ფურცელი მაგიდაზე გაშალა და გარინდებული ჩააცქერდა.
10. ელიოზი შეკრთა, უკან დაიხია.
11. მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, დაღალა ბადე, ჩანგალი.
12. აფერებულ ყანებზე დაუდგრომელი ნიავი შლიდა, აფენდა და აქანებდა მზეკაბას.
13. ნინიამ ზეგარდიდან დახედა სავსე მინდორს, ხარბად თვალი შემოატარა.
14. გაქრა სახლი, კარი, სამყოფელი, სადგური.
15. ამ დღესასწაულზე საქართველოს ყოველი კუთხიდან იკრიბებოდნენ საუკეთესო მომღერლები და სახალხო მგოსნები.
16. ისმოდა ქათმების კრიახი, კაკლების ჩახაჩუხი, ჯამ-ჭურჭლის ჩხარუნი.
17. ხალხში არსებობს ლეგენდა წყნეთელ მაიაზე, წავკისელ თინაზე.
18. ქარავანიც დაბრკოლდა რაღაც საქმეზე და ჯერ არ აპირებდა ქალაქიდან დაძვრას.
19. წამოვდექი, მკლავი მკლავში გავუყარე და დავსვი.
20. იატაკზე დაგლეჯილი კარტონები, ქაღალდის ნაგლეჯები და უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ავეჯი დაუხვდა იოსებს.
21. იაკობმა თვალი ღიმილით გააყოლა, ჯიბიდან გაცრეცილი წიგნაკი ამოიღო და რამდენიმე წუთის განმავლობაში შიგ რაღაცას იწერდა.
22. ილიამ თანამშრომლებს თვალი მოავლო, ვიღაცას ეძებდა.
23. მინდვრები და ქედები გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ეცვლევინებინა.
24. ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა ისევ თავისებურად.
25. იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე – მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა პატარა ტიკჭორიდან.
26. შვილმა თვალები მოიფშვნიტა, გაიზმორა და წიგნი გამოართვა.
27. კარებში ჩოხიანი ბრგე ახალგაზრდა იდგა, თავი ჩაეღუნა, კეთილად იღიმებოდა.
28. აი, ვაჟა ცხენიდან ჩამოხტა, ლაგამი წაჰყარა, აღვირი საბლით დაუგრძელა, ბუჩქზე გამოაბა და ჭალაში შეაგდო.
29. მდუმარედ მიჰყვნენ სოლოლაკის ქუჩას უცნობი და დიდი იოსები.
30. ლეკები უკვე აღარ აკეთებენ მოსევადებულ, ზარნიშიან ლეკურებს, ხანჯლებს და ქამრებს.

დავალება 2:

გადაიწერეთ წინადადებები რვეულში, გახაზეთ განმაზოგადებელი სიტყვები (თუ ისინი მოიპოვება) და დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ქვემოთ ვენახებში გაფანტული სოფელი მოჩანდა შორს ლურჯ-ლილისფრად დაბურული მთები ზედ შავად შელანძული ციხის ნაშალი და ძირს გაშლილი სავსე მინდორი.
2. ყინვას მოერთო ათასნაირი ყვავილებით არშიებით რუშებით ჯინჯილებით.
3. ჯერ პირში წყალი დაიგემოვნა მერე დაახრიალა ახლა ზედიზედ იწაფა.
4. მაგიდას მიუჯდა სამასრიდან რამდენჯერმე გაკეცილი გაცრეცილი რვეულის ფურცელი ამოაძვრინა ფანქრის ნატეხიც მოიძია.
5. ფშაველებმა დაიჭირეს ჩრდილო ნაწილი შირაქისა და გააშენეს სამი სოფელი ზემო ქედი ქვემო ქედი და არხილოსკალო.
6. დუშეთისა და თიანეთის მაზრის მთებში მოსახლკარე ქართველობას ფშავლებს გუდამაყრელებს ხევსურებს მთიულებსა და მოხევეებს 1905 წელს ვაჟა-ფშაველა გაუძღვა შირაქის გულუხვი ველისაკენ.
7. თეთრ მოკლე ნაბადს ქვემოთ მოჩანდა თეთრი გულისპირი და ალვის ხის შტოებივით ნათალი თითები ხელისა.
8. ჩვენი საუბარი ათას რამეს გადასწვდა ქალთა თანასწორობას 1905 წლის რევოლუციის გრიგალებს მის მომდევნო რეაქციას გმირობას და სილაჩრეს დარსა და მოსავალს...
9. ყველა იმასთან მოდიოდა მამაკაცი დედაკაცი გლეხი ქვრივი ობოლი ავადმყოფი და გაჭირვებული.
10. რიყეზე ოთხნიღა დავრჩით ქვებში ჩაფლული დათა გულწასული მოხუცი დედა მე და სოფიო.
11. მოიწონა თავი მამალმა აიბურძგნა აიფხორა და მტრების გასაგულისებლად გამოსაჯავრებლად სამჯერ ზედიზედ დაიყივლა.
12. ახლა ორივე იღიმებოდა ერთი ჩვეულებრივად მშვიდად მეორე ღვარძლიანად დაბნეულად დამცინავად
13. ირემი სამუდამოდ ტოვებდა თეთრად ალისფრად ცისფრად გადაპენტილ სოფელს.
14. ყოველთვის ასე გააცილებდნენ მას დღესაც ხვალაც გაისადაც ასი წლის შემდეგაც.
15. მას ხშირად ნახავ კინოატელიეებში თეატრალურ სტუდიებში მონმარტრის კაფეებში.
16. თითქოს ყველაფერი სიზმარეული ბინდი იყო სოფელიც ხალხიც კითხულის მოვლინებაც და სოფლის მარცხიც.
17. მას მხოლოდ ამ ნაბიჯის გადადგმა შეუძლია სხვა ყველაფერი დავიწყნია ოჯახიც სოფელიც ეკლესიაც.
18. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს.
19. და ისევ ყველაფრით მომაშტერდა თვალებით კბილებით ყურებით და გულით.

11. წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით

პარაგრაფის მიზანდასახულობა

- **გავიაზროთ, რას ნიშნავს შ ი ნ ა ა რ ს ო ბ რ ი ვ ი (მ ო დ ა ლ უ რ ი) განსხვავება წინადადებებს შორის;**
- **გავიხსენოთ: რა და რა შინაარსობრივი ტიპი შეიძლება შეგვხვდეს წინადადებათა განხილვის დროს;**
- **განვსაზღვროთ: წინადადებათა წ ა რ მ ო თ ქ მ ი ს ა და დ ა წ ე რ ი ლ ო ბ ი ს რა საკითხებს აჩენს ეს შინაარსობრივი ტიპები.**

გავიხსენოთ:


- ✓ არაერთგზის შეგვხვედრია წინადადებები, რომლებიც სხვადასხვა შინაარსს გადმოსცემენ.
- ✓ ვცადოთ გავიხსენოთ, რა და რა განსხვავებული ტიპის წინადადებები შეგვხვედრია ტექსტების გარჩევისას.

ახლა გავეცნოთ პარაგრაფის ტექსტს და შევამოწმოთ ჩვენი პასუხის სისწორე.

წინადადებები ნაირგვარ სათქმელსა და შინაარსს გადმოსცემენ, მთქმელის სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას გამოხატავენ. ამის გათვალისწინებით წინადადებათა რამდენიმე შინაარსობრივ ტიპს გამოყოფენ:

1. თხრობითი წინადადება.

თხრობითი წინადადება, ცხადია, რაიმე ამბის გადმოცემას, თ ხ რ ო ბ ა ს გულისხმობს. ასეთი წინადადება გამოხა-



ტავს ნეიტრალურ აზრსა თუ შინაარსს, რომელიც შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც (უარყოფითი ნაწილაკებით გამოხატული).

თხრობითი წინადადების ბოლოს დაისმის წ ე რ ტ ი ლ ი. მაგ.:

მგზავრებით სავსე გემი ნაპირს მოადგა.



2. კითხვითი წინადადება.

კითხვითი წინადადება შეიცავს კ ი თ ხ ვ ი ს შინაარსს. ეს შინაარსი მეტყველების დროს გადმოიცემა ინტონაციით ან კითხვითი ნაწილაკებითა თუ ნაცვალსახელებით (ასეთ შემთხვევაში კითხვის ინტონაცია აღარ არის გამოკვეთილი).

წერის დროს კითხვითი წინადადების ბოლოს დაისმის კ ი თ ხ ვ ი ს ნიშანი. მაგ.:

მამაშენი მეცხვარედ გზრდიდა?
ვინ ქმნიდა ამ ჩუქურთმებს?

3. ბრძანებითი წინადადება.

ბრძანებითი წინადადება გამოხატავს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს შინაარსს (მოწოდებას, თხოვნას, შეგონებას, გაფრთხილებას...). ასეთ შემთხვევაში ხშირია **არა** და **ნუ** ნაწილაკების, მიმართვის ფორმების გამოყენება.

ბრძანებითი წინადადების ბოლოს დაისმის ძ ა ხ ი ლ ი ს ნიშანი. მაგ.:

მუზეუმში ნუ იხმაურებთ!
აიღეთ თქვენი ნივთები და გამომყევით!



აქვე შეიძლება დავასახელოთ ძლიერი ემოციის, განცდის გამომხატველი წინადადებები, რომელთა ბოლოს ძახილის ნიშანი იწერება. მაგ.:

ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები!

4. კითხვით-ბრძანებითი წინადადება.

ეს არის წინადადების ტიპი, რომელშიც გაერთიანებულია მეორე და მესამე ტიპის წინადადებათა შინაარსი (კითხვაც და ბრძანება-მოწოდებაც).

კითხვით-ბრძანებითი წინადადების ბოლოს დაისმის კითხვისა და ძახილის ნიშნები. მაგ.:

გაგონილა ამ დრომდე ძილი?!
სადაა მერე ეგ ყოველივე?!



დავალება 1:

მოცემული ნიმუშის (ცხრილის) მიხედვით ცალ-ცალკე ამოიწერეთ ტექსტიდან თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები, დააჯგუფეთ და დაუსვით სასვენი ნიშნები:

უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად – ბეჟან, გეყოფა, კარგი – უთხრა უმცროსმა, თითქო წყრომითაც და ვედრებითაც

ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა ისევ თავისებურად:

– ორი დღის უჭმელები ვართ ცუდი საქმე დაგვმართა იმ ოჯახდაქცეულმა აბა ეხლა რა უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაში

– ვაი ჩემს გამჩენს – უპასუხა ერთმა დროულმა მეურმემ – უცხო ქვეყანაში რად იქნებით ასე გონია, სათათრეთში იყვნეთ ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ ვაი ავ-კაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთ

უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა ერთობ მისის სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თითქო ადამიანის გულკეთილო-

ბას პირველად შეხვდაო და უკვირსო იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე – მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა პატარა ტიკჭორიდამ

– ვაი შენს პეტრეს — დაიწყო იმავ დროულმა ჩვენ დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ შეექეცით, შვილო ეხლა კი ამ მშრალს პურს პურადძვირობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს

პეტრემ დაისო ორნივე თავის ურემზედ წასვლა უთხრეს წინამეურმესა დაიძრა ქარავანი ურმებისა

ილია ჭავჭავაძე, „სარჩობელაზედ“

თხრობითი	კითხვითი	ბრძანებითი
უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად.	აბა ეხლა რა უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაში?	– ბეჟან, გეყოფა, კარგი!

დავალება 2:

გადაიწერეთ წინადადებები რვეულში და დაუსვით საჭირო სასვენი ნიშნები წინადადების ბოლოს:

1. სად ხარ გამოდი ნუ იმალები, თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძეო
2. ირმის ნაჩლიქარი მკვეთრად ეტყობოდა ქარის ჩამოყრილ ყვავილს
3. მუდამ შაბათ დღეს ან კვირას მოზარე დედაკაცები იყრიდნენ თავს ბათურის ოჯახში
4. როგორ გაბედა რეგვენმა ამ სიტყვის გამეორება
5. ვაჟკაცნო, მამის ხმალი არ შეარცხვინოთ
6. ეს დედანი ადრე თუ გვიან უსათუოდ აღმოჩნდება სადმე
7. სად გადის ზღვარი ადამიანის წარმოსახვასა და რეალობას შორის
8. ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა
9. რად ეხვევიან ნისლები ამ მთათა მაღალ მწვერვალებს
10. ეს ორი სულ სხვადასხვა ხასიათის ადამიანი შემთხვევას ერთმანეთისათვის შესადარებლად შეუყრია
11. დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისათვის, დამანებე თავი
12. მაშ წუხელ, განთიადისას, არც საუცხოვო გალობა გსმენია
13. შვილო, მშობლიურ კერაზე ტკბილო, აქ დარჩი და არ წახვიდე არსად
14. ძაღლებს სხვა დროსაც უჩხუბიათ და სოფელმა ახლაც ჯოხებით გააშველა
15. რა წყალში ჩამეყარა მთელი ჩემი ცდა და შრომა
16. ახლა ვინაა ცოცხლად დამარხული, მე თუ შენ
17. ამაზე მყუდრო ადგილს სამუშაოდ სად ნახავთ
18. ამ შორ გზაზე მარტო არ მიშვებდა დედა
19. აბა, შეხედე, სად გაგონილა ასეთი რამე
20. ცოდო არ იქნება, მაგისი ნიჭი გაზეთის მუშაობაში ჩავკლათ

I

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება:

მცირე ცნობარის შედგენა აგებულების მიხედვით განსხვავებული წინადადებების გამოყენებით.

შეადგინეთ მცირე ცნობარი ლიტერატურული ტურიზმისათვის, თქვენ მიერ მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილი/შესასწავლი მწერლებისა და მათი ნაწარმოებების გათვალისწინებით.

ნამუშევარში:

- ✓ გამოიყენეთ აგებულებისა და შინაარსის მიხედვით განსხვავებული წინადადებები.
- ✓ წარმოაჩინეთ ინფორმაცია იმ ადგილების შესახებ, სადაც ცხოვრობდნენ ან/და მოღვაწეობდნენ ეს მწერლები;
- ✓ აღწერეთ ადგილები, სადაც ვითარდება მოქმედება მათს ნაწარმოებებში;
- ✓ დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

II

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება:

კომიქსის შექმნა სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით.

შექმენით კომიქსი უმცროსკლასელებისათვის, რომლითაც მათ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რომელიმე ეპიზოდს გააცნობთ. გამოკვეთეთ კომიქსის სამი ნაწილი – დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

კომიქსში:

- ✓ ამბის გადმოსაცემად უმეტესწილად გამოიყენეთ საუბრები (დიალოგები) პერსონაჟებს შორის;
- ✓ „ღრუბლებში“ მოცემული ტექსტებისათვის – დიალოგებისათვის, ასევე პერსონაჟების ფიქრებისათვის – გამოიყენეთ სხვადასხვა მოდალობის (თხრობითი, კითხვითი, კითხვა-ძახილისა და ბრძანებითი) გამომხატველი წინადადებები და დასვით სათანადო სასვენი ნიშნები;
- ✓ პერსონაჟების დიალოგების გადმოცემისას გამოიყენეთ მარტივი, სრული და უსრული წინადადებები;
- ✓ დამატებითი ინფორმაციისათვის (მაგ., პერსონაჟებზე, მომხდარზე, მოქმედების დროსა და ადგილზე), სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით, ძირითადად გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის მარტივი და შერწყმული წინადადებები.

დედამიწაზე ათასობით ენა არსებობს, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს საკუთარი, უნიკალური დამწერლობა. მათ შორისაა ქართული ანბანი - ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი. საუკუნეების წინ შექმნილმა ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი საფეხური განვლო - ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. განსაკუთრებულია ისიც, რომ სამივე სახეობა დღემდე ცოცხალია და ქართული კულტურის უწყვეტობას გამოხატავს.

სწორედ ამ უნიკალურობის გამო 2016 წელს იუნესკომ ქართული ანბანის სამივე სახეობა კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა. ეს საერთაშორისო აღიარებაა იმისა, რომ ქართული დამწერლობა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი გამორჩეული კულტურული საგანძურია.

ამ სახელმძღვანელოს საშუალებით უკეთ გაიცნობ იმ ენასა და დამწერლობას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა ქართულ კულტურას. შენ იმ ხალხის შთამომავალი ხარ, რომელმაც საკუთარი ანბანი შექმნა და დღემდე შემოინახა. როდესაც ქართულად კითხულობ და წერ, შენ ამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას აგრძელებ.

ქართული ანბანი მხოლოდ ასოების სისტემა არ არის - ის ჩვენი ისტორიის, კულტურისა და ეროვნული თვითმყოფადობის ნაწილია. გაუფრთხილდი ამ მემკვიდრეობას, იამაყე მისით და სიყვარულით დაწერე თითოეული ქართული ასო და სიტყვა.



9 789941 889080

26.03.9.1.1